


К 169.034
3

საქართველოს
საბჭოთავო
ენციკლოპედია

აღ. კალანდიაძე

ივანე ჯავახიშვილი
და
საქართველოს არქეოლოგია




„მეცნიერება“
1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

აღ. კალანდიაძე

ივანე ჯავახიშვილი
და
საქართველოს არქეოლოგია



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი 1977

ნაშრომში, სათანადო მასალების შესწავლის საფუძველზე შეძლებისდაგვარად შეფასებულია ის დიდი ღვაწლი, რაც ივ. ჯავახიშვილმა დასდო საქართველოში არქეოლოგიური მემკვიდრეების განვითარებას.

რედაქტორი ა. აფაქიძე

ცხოვრებაში ალბათ ძალიან იშვიათია ისეთი ბედნიერი შემთხვევა, როგორსაც აღვილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე. ეს იყო საქართველოს ისტორიისა და ივანე ჯავახიშვილის შესვენება, რამაც პირველს უბადლო მკვლევარი, დიდი მოქირანახულე და ერთგული ქომაგი მოუპოვა, ხოლო მეორის არც თუ ხანგრძლივი სიცოცხლე — მშობელი ერის ავ-კარგზე ფიქრით, მისი წარსულის კვლევისას დახარჯული შთაგონებული შრომით აავსო. დიდი ისტორიკოსის მთელი სიცოცხლე, მუხლჩაუქეცავ შრომაში გატარებული, წმინდა სანთელივით დაიწვა და შეეწირა მშობელი ხალხის თავისთავადობის გამომქლავნებას, მისი ერთგული თვითშეგნების დამკვიდრებას. თუ რომელიმე მეცნიერ-ისტორიკოსზე შეიძლება ითქვას, თავის ხალხსა და ქვეყანას ამაგი დასდო, ჩვენში ეს პირველ რიგში ითქმის ივ. ჯავახიშვილზე, რომლის ღვთიებრივადღებული ნიჭის ნამოქმედარი ახალ თაობებს ახლაც შეუქრვარსკვლავივით უნათებს გზას.

ამ ფართო თვალსაწიერის მქონე, მოაზროვნე ისტორიკოსისა და გასაოცრად მრავალმხრივი მკვლევარის ღვაწლის შეფასება ქართველოლოგიაში, უფრო მეტიც, კავკასიოლოგიაში, კულტურის ისტორიის მრავალი დარგის სპეციალისტთა მხრივ საგანგებო მსჯელობის საგანი არაერთგზის ყოფილა და კვლავაც დარჩება. ბევრი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ფილოლოგი თუ ფოლკლორისტი, ხელოვნებათმცოდნე თუ არქეოლოგი, ეთნოგრაფი თუ ეკონომისტი, გეოგრაფი და მრავალი სხვა დარგის სპეციალისტი კვლავაც შეეცდება შეაფასოს, გაიგოს და სხვასაც გააგებინოს სამეცნიერო ღირებულება ივ. ჯავახიშვილის იმ ფუძემდებლური ნაშრომებისა, რომელთაც თავისი დროისათვის გარკვეული ეტაპი შექმნეს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

რასაკვირველია, წინამდებარე ნარკვევის მიზანი არაა საქართველოს ისტორიის წინაშე ივ. ჯავახიშვილის ღვაწლის შეფასება. ასეთ საპატიო და ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობას ამ სტრიქონების ავტორი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იკისრებდა. მაგრამ, ვიდრე ამ ნაშრომის კონკრეტულ საგანზე გადავიდოდეთ, გვსურს

1951
3


საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



მკითხველმა ერთხელ კიდევ გაიხსენოს, თუ როგორი მაღალი პატრიოტული შეგნებით იყო განმსჭვალული ივ. ჯავახიშვილი, როდესაც იგი მთელი თავისი არსებით ეძლეოდა სამეცნიერო-შემოქმედებით პროცესს, რომლის მონაწილედ ავტორს მკითხველიც სურდა გაეხადა. „მე მინდოდაო, — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი „ქართული ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში — მკითხველი თანამოზიარედ გამეხადა, რომ მას თვითონაც ეგემნა ის გონებრივი სიამოვნება, რომელსაც მეცნიერი-ისტორიკოსი ჰგრძნობს საისტორიო წყაროების შესწავლისა და კვლევა-ძიების დროს“ [1, გვ. IV]¹. ჭეშმარიტად ღვთისაღაძარი სურვილია, რომელიც შეიძლება დაებადოს მხოლოდ თავის ხალხსა და ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ჰუმანისტს. მართლაც და, რაზომ ძვირფასია სურვილი ჭეშმარიტი მეცნიერისა, რომელსაც სურს თავის მკითხველსაც გადასდოს აღფრთოვანება და ესთეტიკური კმაყოფილება, რასაც იგი მშობელი ქვეყნის ახალახალ ისტორიულ წყაროებზე მუშაობისას განიცდის. თუ რაოდენი სიამოვნება მოჰგვარა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო საქმიანობამ ფართო მკითხველ საზოგადოებას, ამას მოწმობს ის მაღალი ავტორიტეტი, რომელიც მან კანონწომიერად დაიმსახურა საზოგადოებრიობაში ვითარცა პირუთვნელმა მეცნიერმა, პატრიოტმა და მოქალაქემ. ვიმეორებთ, ივ. ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის ღვაწლის აწონა ერთობ დიდი სერიოზული ამოცანაა. ეს საქმე დღემდე არაერთ მკვლევარს უდგვია თავს, ამჟამადაც ბევრი ცდილობს ჭეროვანი მიუზღას მას, მაგრამ ამ

¹ ივ. ჯავახიშვილის ამ სიტყვებიდან გამომდინარეობს, რომ მისთვის იმთავითვე უცნობი იყო თვითკმაყოფილების გრძნობა მეცნიერისა, რომელიც თავის კარჩაკეტულ კვლევა-ძიებაში მხოლოდ საკუთარი ეგოისტური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ეძიებს. ივ. ჯავახიშვილის კაბინეტური მუშაობის შედეგი ყოველთვის ფართო საზოგადოებისათვის, ხალხისთვის იყო გამიზნული. მსმენელი თუ მკითხველი ყოველთვის იყო მის შეხედულებათა არა მარტო გამგონე, — შემფასებელიც.

მკითხველთან სიახლოვესა და თანამოზიარეობას ეძიებდა და პოულობდა იგი როგორც ცალკეული, კერძო მეცნიერი, რომელსაც ამ გზით თავისი შემოქმედების ნაყოფის შემოწმება გულწრფელად ეწადა. და ამასვე ელტვოდა იგი როგორც ქართული მეცნიერების ეროვნული ტაძრის — თბილისის უნივერსიტეტის მესვეური, როდესაც წერდა: „...საქართველოშიაც შეიქმნა ის ცხოველი მეცნიერების ტაძარი, სადაც მუდამ სამეცნიერო კვლევა-ძიება სწარმოებს და სადაც მომავალი თაობა მეცნიერ-მკვლევართა მოძღვრობითა და ხელმძღვანელობით უმაღლეს მეცნიერებას ითვისებს, სამეცნიერო მუშაობას ეჩვევა და თანდათანობით მის თანამოზიარედ ხდება“ ([79], გვ. 319, საბუთი № 53, გვ. 412—415).





მეცნიერის ისტორიული მემკვიდრეობის ღირსეული შეფასება, გვგონია, მაინც მომავლის საქმეა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ნათელყოს ის ადგილი, რომელიც ეჭირა არქეოლოგიას ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობაში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილისათვის თავიდათავი საგანი ანუ მისი სამეცნიერო მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი იყო დაემუშავებინა, გამოეკვლია და შეედგინა „ქართველი ერის ისტორია“ („ოთხ წიგნად“), ე. ი. შეექმნა მეტნაკლებად გამზული თხრობა ქართველი ხალხის ისტორიული თავგადასავლისა დასაბამითგან XVIII საუკუნის გასულამდე². ამასთანავე, ამ თხრობაში ავტორი ზოგ სხვა დისციპლინასთან ერთად თვალსაჩინოდ ადგილს უთმობდა არქეოლოგიასაც. მას მშვენივრად ესმოდა არქეოლოგიის მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიისათვის, როდესაც წერდა:

„...უძველეს ხანაში, როცა ხალხს ჯერ მწერლობა შექმნილი არა აქვს, ისტორია თავის მასალებს მხოლოდ არქეოლოგიასა, ენათმეცნიერებასა და სარწმუნოებათმეცნიერებაში ჰკრებს. ამ შემთხვევაში მათ ...არსებითი მნიშვნელობა აქვთ“ [2, გვ. 3]. ამ მეცნიერებათა მონაცემები რომ არ ეშველებოდეს, მარტო მეზობელი ერების საისტორიო თხზულებებში დაცული ცნობებით ისტორიკოსი ვერას გახდებოდაო. შემდეგ ავტორი საუბრობს არქეოლოგიის

2 საამისოდ, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილმა ტიტანური შრომა გასწია და გამოაქვეყნა: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ორ წიგნად (1907, 1930, 1934); „ქართული სამართლის ისტორია“ სამ წიგნად (1928—1929); სამ წიგნად განზრახული „ქართველი ერის ისტორიის შესავლიდან“ პირველი ორი წიგნი: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“ (1950) და „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (1937); „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“ ოთხ წიგნად; „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა V—XVIII სს.“ (1916, 1921, 1945); „ქართულ საფასსაზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“ (1925); „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (1926, 1949); „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ (1926). აღარაფერს ვამბობთ ზოგადი თუ სპეციალური ხასიათის მრავალრიცხოვან ნაშრომთა მომზადება-პუბლიკაციაზე, რომელსაც ავტორი ამის პარალელურად ეწეოდა.

ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ ამ ბოლო დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით 1951—1953 წწ. 5 ტომად, ხოლო 1960—1967 წწ. 4 ტომად გამოსცა.



საგანზე, მოპოვებული მასალების თავისებურებასა და სპეციფიკაზე, უწოდებს მათ „უსახელო და უპიროვნო“ ნაშთებს, მაგრამ თვლის მათ „რომელიმე ნიჭით დაჯილდოებული ადამიანების ნაწარმოებად“, და დაასკვნის, რომ თუმცა მეცნიერებას არ შეუძლია დაადგინოს არქეოლოგიური ნივთების შემქმნელ ადამიანთა ვინაობა, მაგრამ ეს არქეოლოგიას ოდნავადაც ხელს არ უშლის ამ ნივთების დამზადების ტექნიკის მიხედვით მეტ-ნაკლები წარმატებით განსაზღვროს იმდროინდელი საზოგადოების სამეურნეო და კულტურული განვითარების დონე. „ამ უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი — არქეოლოგიამ ისეთი მტკიცე სამეცნიერო კვლევის მეთოდები შეიმუშავა, რომ მას შეუძლიან ქრონოლოგიურად სწორე, ან შედარებით, ან დაახლოებით განსაზღვრული, სრულებით სანდო ცნობები მიაწოდოს ხოლმე ისტორიკოსს. მას შეუძლია გამოარკვიოს ადგილობრივ არის გამოგონებული და გაკეთებული ნივთი, თუ უცხოეთიდან არის შემოტანილი და შეთვისებული. ცხადია, არქეოლოგია ისტორიის უძველესი სახისათვის მთავარ საგნად უნდა ჩაითვალოს“ [2, გვ. 4] (ხაზგასმა ჩვენია, ა. კ.). არქეოლოგიური მასალის გათვალისწინება მაშინაც აუცილებელია, როცა წერილობითი საისტორიო წყაროები ბლომად მოგვეპოვებაო, ეს „იმიტომ, რომ რაც უნდა უხვი წერილობითი საბუთები გვექონდეს შეკრებილი და ენათმეცნიერებისა და სარწმუნოებათა მეცნიერების ცნობები მხედველობაში იყოს მიღებული, მაინც თვითელი ეროვნების ყოფა-ცხოვრებას ნათლად ვერ წარმოვიდგენთ, თუ კი ამ ერის ნაწარმოებისა და ცხოვრების ნაშთი თვალწინ არ გვექნება. რაც უნდა იყოს, მაინც ცარიელი სიტყვა საგნის ვითარებას ვერასგზოთ ვერ დაგვისურათებს; როგორც მაგ., სიტყვა „ჯამი“ საკმარისი არ არის, რომ წარმოვიდგინოთ რანაირი იყო იგი, იმიტომ, რომ ჯამი შეიძლება უბრალო თიხისაც იყოს, მინანქრითა და ფერადი წამლებით დასურათებულიც, ან არადა, თუჯისა ან ვერცხლისა ან ოქროსი (ხოლო ამ გარემოებას, თუ რა მასალიდან და როგორ არის გაკეთებული ნივთი, დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსისათვის, როცა მას ერის კულტურის შესწავლა ჰსურს), — ამგვარადვე, მთელ მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას მხოლოდ მაშინ წარმოვიდგენთ, როცა იმდროინდელი ნაშთები, ნივთები და საგნები თვალწინ გვექნება და საფუძვლიანად შევისწავლით“ [2, გვ. 4—5]. რაკი ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქეოლოგიურ ფაქტებს, მეცნიერი აუცილებელ საჭიროებად თვლიდა მათ ჩართვას ისტორიულ თხრობაში და თვით კონ-

კრეტული მასალის ილუსტრაციების მოშველიებასაც ფრიად სასურველ და სასარგებლო საქმედ მიიჩნევდა. ასე, მაგ., „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის 1908 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მე აზრად მაქვს, ისტორიისათვის ძველი ნაშთებისა და მოღვაწეთა სურათები და საგოგრაფიო რუკები დამერთო, მაგრამ ამ წიგნისათვის ვერ მოხერხდა და, იმედია, შემდეგში ამ დანაკლისსაც შევამსებთ“ [2, გვ. 111]. მართლაც, ეს „დანაკლისი“ ავტორს თავისი „ისტორიის“ შემდგომ, 1913 წლის გამოცემაში შეუვსია, სადაც მოთავსებულია ვ. ვირუბოვისა და ფრ. ბაიერნის წიგნებში [3, 4]. გამოქვეყნებულ ილუსტრაციათა ხუთი ტაბულის რეპროდუქციები, რომლებზედაც ასახულია სამთავროში, ყაზბეგსა (ყოფ. სტეფანწმინდა) და რედკინლაგერში აღმოჩენილი ნივთები გვიანდელი ბრინჯაოსა და აღრინდელი რკინის ხანისა. კიდევ უფრო უხვად იშველიებს ავტორი არქეოლოგიურ მასალას „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის მესამე, 1928 წლის, გამოცემაში [5, გვ. 5—32], მაგრამ, ამის შესახებ დაწვრილებითი საუბარი ქვემოთ იქნება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთი ფრიად შინაარსიანი და ნაყოფიერი პერიოდი დაემთხვა რუსეთის იმპერიაში შემავალი, მეტადრე განაპირობა ქვეყნების ტანჯული ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის, გამოღვიძებისა და დიდი რევოლუციური აღმავლობის პერიოდს. ეს იყო სწორედ 1905—1907 წლები. სრულიად შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ივ. ჯავახიშვილს ამ ხანში საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის უკვე სავსებით მომზადებულს, კერძოდ, საისტორიო კვლევა-ძიების სპეციფიკურ ხერხებსა და მეთოდებს ბრწყინვალედ დაუფლებულს, ჯერ კიდევ 29—30 წლის ახალგაზრდას უჩინდება სურვილი შექმნას ქართველი ხალხის ისტორიის სრული კურსი, რათა ეროვნული თვითშეგნების გზაზე დამდგარ ხალხთა მასებს დაანახოს მათი განვლილი ცხოვრების სინამდვილე, შეაყვაროს მათი გმირული წარსული, შეაგნებინოს აწინდელი ვითარების სიღუბსჭირე და ჩაუნერგოს მებრძოლი სული თუ განწყობილება უკეთესი მერმისისათვის³.

3 ივ. ჯავახიშვილის ნაშრომები, განსაკუთრებით ლექციები თავიანთი დიდი მეცნიერული ღირებულების გარდა, ყოველთვის გამოარჩეოდნენ მაღალი მოქალაქეობრივი მოწოდებითა და ნამდვილი პატრიოტული სულისკვეთებით. ივ. ჯავახიშვილის ღრმა შინაარსიანი ცხოვრების გზა მეტნაკლები სისრულით შევამე-

დავებრუნდეთ ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას არქეოლოგიაზე და გავერკვეთ იმაში, თუ რა როლს აკისრებს მას ახალგაზრდა მეცნიერი. „თვითეული ერის უძველესი კულტურის შესწავლა, რასაკვირველია, მხოლოდ არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების საშუალებით შეიძლება. სამწუხაროდ — აღნიშნავს იგი — სწორედ იმ ადგილებში, სადაც თავდაპირველად ქართველები ცხოვრობდნენ, სახელდობრ, ქალდეასა და კაბადუციას, დედამიწის გულიდან ჯერჯერობით ძალიან ცოტა ნივთებია ამოთხრილი. ამის გარდა, რაკი აქამდისინ არავენ არ იცოდა, რომ ქართველების თავდაპირველი სამშობლო ქალდეა იყო, ამიტომ იმ ნაშთებშიაც, რომელიც უკვე ნაპოვნია, ქართველ ტომთა წინაპრების ნაწარმოები არავის უძებნია. ქალდეასა, კაბადუციასა, პონტოში და მცირე აზიის იმ ქვეყნებში, სადაც მე-XI—VII საუკუნე. ქართველ ტომებს ბინადრობა ჰქონდათ, სხვა მოდგმის ხალხებიც ცხოვრობდნენ, და ეხლა იმის გამოცნობა, თუ რომელი ნაშთი რომელ ერს ეკუთვნის, მეტად ძნელი საქმეა“ [2, გვ. 63; 1, გვ. 74]. რამდენადაც მცირე აზიის არქეოლოგიური მონაპოვარი ქართველების უძველეს კულტურასთან ნათესაობის თვალსაზრისით მანამდე არავის განხილული არა ჰქონია, ივ. ჯავახიშვილი თვით შეეცადა „ქალდეას პირვანდელი კულტურის საზოგადო სურათის“ წარმოდგენას. პირველ ყოვლისა, იგი იძლევა ძველი კაბადუციის („რომელზედაც XI—VII საუკუნეებში ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ“) ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების (ოროგრაფიის, ტექტონიკის, ჰიდროგრაფიული ქსელის, ჰავის), აგრეთვე სამიმოსვლო გზების, მეურნეობის ფორმებისა და

ბული აქვს აწ განსვ. პროფ. დ. გვრიტიშვილს მონოგრაფიაში „ივანე ჯავახიშვილი“, თბ., 1968 (6). ჩვენი ავტორის მსოფლმხედველობრივი მრწამსის შესახებ იხ. პრ. რატიანი, ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიისათვის, კრებ. „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968 (7, გვ. 255—291; განსაკ. 267—268); იხ. აგრეთვე, 1975 წელს გამოსული წიგნი რ. მეტრეველისა, კვალი განათლებული (ივ. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი [8]).

4 ქართველი ერის ისტორიის მეორე (1913 წ.) გამოცემაში ამ ადგილას, 74-ე გვერდზე წერია: „მე-XI—XII საუკუნე“, რაც აშკარა კორექტურული შეცდომაა, ვინაიდან, რამდენადაც ვიცით, ქართველთა ძველი ისტორიის გადმოცემისას, კერძოდ ქალდეაში ასურელებთან ქართველების ქიშპობის დროს თავსადახდენილი ამბების მოყლისას ბ-ნი ივანე ყოველთვის XI—VII საუკუნეებს უჩვენებს. ეს თარიღი კარგად უდგება ივანე ჯავახიშვილის ადრე გამოთქმულ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ქართველების მცირე აზიიდან კავკასიაში გადმოსახლების მიზეზი წინა აზიაში კომერციულად შეჭრაც უნდა ყოფილიყო.

სხვათა მიმოხილვას. ავტორი აღნიშნავს, რომ „უძველესი დროიდანვე ქალღეაში მადნეულობის შემუშავება ძალიან გავრცელებული ყოფილა“, რომ უძველესი საფლავები შეიცავენ ბრინჯაოს, ოქროს და რკინის ნივთებს, რომ იარაღთა უმეტესობა ბრინჯაოსაგან არის დანზადებული, ხოლო ძვირად ღირებულნი რკინისაგან მხოლოდ სამკაულები (ბეჭდები, სამაჯურები და სხვ.) უყვებიან. ბოლოს ავტორი დასძენს, რომ ეს სამარხები და მათში მოპოვებული საგნები არქეოლოგების აზრით ძვ. წ. 2500—1000 წლებს უნდა ეკუთვნოდესო“ [1, გვ. 74—75]. რაკი, თავიდანვე იწამა ადრე ჰიპოთეზის სახით გამოთქმული დებულება „ყველა ქართველი ტომის“ კავკასიაში აღმოსავლეთ მცირე აზიიდან გადმოსახლების შესახებ, მალე ავტორის წინაშე დადგა ახალი საკითხი: როდის უნდა მომხდარიყო ეს? იქნებ ქართველები უძველეს დროსვე იყვნენ შემოსული კავკასიაში, როდესაც აქ ჯერ კიდევ არავინ სახლობდა? „მაშინ ხომ ქართველები კავკასიის თავდაპირველი მცხოვრებნი და მკვიდრნი იქნებოდნენ“. მაგრამ, ეს არ იყო სარწმუნო ავტორისათვის. ავტორს უფრო დასაშვებად მიაჩნია აზრი, რომ ქართველებს აქ დახვდათ ძველი მოსახლეობა, რომელიც პირველთ ან უნდა „გაექართველებინათ, ან არა და კავკასიის ქედის იქით გაერეკნათ“ [1, გვ. 61]⁵. ავტორის ვარაუდით, ასეთი მოძრაობის დამადასტურებელი ისტორიული საბუთების აღმოჩენა გამორიცხულია და „მხოლოდ არქეოლოგიის შეუძლიან ამ ხანისა და ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ ცნობები მოგვაწოდოსო“ [1, გვ. 62]. საკითხის ამგვარად დასმამ ავტორი აიძულა საგანგებო მსჯელობა გაეშალა კავკასიის არქეოლოგიის მაშინდელი ვითარების შესახებ და გამოერკვია, თუ რამდენად პასუხობდა აქაური მონაპოვარი ზემოთ დასახელებულ კითხვას.

ავტორი გაახსენებს მკითხველს, რომ კავკასიაში აღმოჩენილია სამხრეთის სპილოს, მამონტის, ჰიპობოტამის და ყინულოვანი პერიოდის („ყინულის ხანის“) სხვა ცხოველთა ნაშთები, რაც ამ ხანაში სულდგმულთა არსებობას ადასტურებს, მაგრამ ჯერჯერობით ამ ქვეყანაში ქვის ხანის (პალეოლითის ან ნეოლითის) არც ერთი

5 როგორც ვიცით, „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალი წიგნების უდიდესი ნაწილი ადიღე-ჩერქეზული, ვეინახური და დიდოურ-ლეკური წარმოშობის მოსახლეობის საქართველოს მიწაწყალზე ოდინდელი არსებობის ნაკვლევის დადასტურებას ეძღვნება. ვანსაკ. იხ. მისი საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

ექვემოყუანელი იარაღი ნაპოვნი არ არის. თუმცა რამდენიმე ქვის იარაღი კია ცნობილი, მაგრამ ცალკეულ, შედაპირულად მოკვლეულ თითო-ორთა იარაღს მეცნიერებისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვსო. ასევე არ განეკუთვნებიან ქვის ხანას ცნობილი კულპის (აღწევის მარილის საბადოებში მოპოვებული) უროები, „ერთი სიტყვით — დასკვნის მკვლევარი — საარქეოლოგიო ნაშთების შესწავლა ამტკიცებს, რომ ქვის ხანის დროს ადამიანს კავკასიაში არ უცხოვრია [1, გვ. 63]⁶. როცა იქ ადამიანს ფეხი პირველად შეუდგამს, მას უკვე მადნის შემუშავება სცოდნია. მაშასადამე, უძველესი და თავდაპირველი მოსახლეობა კავკასიაში მადნეულობის ხანის დროს გაჩენილა⁷“. მეცნიერთა უმრავლესობა დღეს ამ აზრისაა, დავას მხოლოდ ის იწვევს, რომელი ლითონის ხანაში გამოჩნდა კავკასიაში ადამიანი. ზოგ მათგანს, მაგ., ბაიერნს, ჰერნესს, ანუჩინს და სხვ. ამ ხანად ბრინჯაოს გასული ან მისგან რკინაზე გარდამავალი ხანა მიაჩნდათ, ვირხოვი კი თვლიდა, რომ ეს დრო რკინის ხანის დასაწყისზე ან ძვ. XI—X საუკ. მოდიოდა. ამ დროის მოსახლეობა, გადმოგვცემს ავტორი, დოლიხოკეფალები (გრძელთავიანები) ყოფილან, ხოლო თანამედროვე ქართველები და სომხები ბრახიკეფალები (მოკლეთავიანები) არიან. აქედან გამოდის, რომ ამათ არავითარი საერთო არ უნდა ჰქონოდათ იმ ხალხთან, რომელთა წარმომადგენლები კავკასიის უძველეს სამარხებში იკრძალებოდნენ. გავყვეთ ავტორის მსჯელობას. თუ სწორი გამოდგარ. ვირხოვის შეხედულება კავკასიის ძველ სამაროვანთა ძვ. წ. XI—X სს. დათარიღების შესახებ, მაშინ ქართველები კავკასიაში

6 ავტორის ამ სტრიქონების დაწერიდან რამდენიმე თვის, სულ დიდი ერთი წლის შემდეგ გერმანელი და პოლონელი მეცნიერები (ქ. ტიუბინგენიდან) რ. შმიდტი და ლ. კოზლოვსკი, რომლებიც რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ნებართვით 1914 წ. ზაფხულში არქეოლოგიურ დაზვერვებს აწარმოებდნენ საქართველოში, საბოლოოდ ადასტურებენ ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ნაშთების არსებობას საქართველოში (იხ. ქვემოთ).

7 ამ მადნეულთა შორის კაცობრიობის კულტურის პროგრესისათვის ივ. ჯავახიშვილი, საესებით მართებულად, პირველ ადგილს რკინას ანიჭებდა. „რკინის აღმოჩენამ კაცობრიობას ბრწყინვალე მომავალი მიანიჭა და აწინდელ საისტორიო კულტურას საძირკველი ჩაუყარა“ [1, გვ. 62]. არქეოლოგთაგან და საერთოდ კულტურის ისტორიკოსთაგან რკინის წარმოების რევოლუციური როლი ასეთი შეფასება სრულიად ბუნებრივია, მას საესებით იზიარებენ მარქსიზმის კლასიკოსებიც (იხ. მაგ. 9, ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურის დახასიათება). ვინ იცის, იქნებ ივ. ჯავახიშვილის ზემოთ მოტანილი გამონათქვამი ფ. ენგელსიდან მომდინარეობდეს, თუმცა ამის დადაპრით თქმის საფუძველი არ არსებობს.



IX საუკუნის შემდეგ უნდა შემოსულიყვნენ. „ეს დასკვნა შეურყვევლი ქეშმარიტებააო“, ასკენის ავტორი. თუ მომავალში დამტკიცდება, რომ სამთავროს სამაროვანი ძვ. წ. XI—X სს. უადრეს ხანას ეკუთვნის, მაშინ საფიქრებელია, „თავდაპირველად კავკასიაში ქართველებს თითო-ოროლას დაუწყიათ შემოხიზვნა“, რასაც ბრაზიკეფალთა სპორადული აღმოჩენები ადასტურებენო [1, გვ. 65]. საბოლოოდ ავტორის დასკვნა მაინც ასეთია: „თუ აქამდისინ ჩვენ გვეგონა, ვითომც ქართველების არსებობის უძველესი ნაშთები საქართველოს მიწის გულშია დამარხული, ეხლა ეს შეცდომა უნდა თავიდან მოვიშოროთ“. ქართველთა თავდაპირველი ყოფაცხოვრებისა და მდგომარეობის კვალი უნდა ვეძიოთ ამიერკავკასიის სამხრეთით, იმ ადგილებში, სადაც ქართველები ცხოვრობდნენ ძვ. წ. XI—VIII საუკუნეებშიო [1, გვ. 66]. ამავე ნაშრომში, ქვემოთ ქართველთა უძველესი კულტურისა და გარესამყაროსთან მათი ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობის დროს ავტორი კვლავ შეგვახსენებს, რომ ქართველები არ ყოფილან კავკასიის უძველესი მკვიდრნი და „რასაკვირველია, კავკასიაში ნაპოვნი უძველესი ნივთები და იარაღები ქართველების ნამუშევარი არ იქნებაო“ [1, გვ. 9;]. ამ საკითხთან, ე. ი. აქაური უძველესი არქეოლოგიური ნივთების წარმომავლობისა და ეთნიკური განკუთვნილების საკითხთან დაკავშირებით, იგი მიმართავს მაშინდელ ცნობილ ავტორებს, კერძოდ, ფრ. ბაიერსს, რ. ვირხოვს, ე. შანტრს, ჟაკ დე მორგანს, მ ჰერნესს, გ. ვილკეს, ო. შრადერს, ფ. ჰომელს, გ. ფილიმონოვს, დ. ანუჩინს, ა. უვაროვს [4; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17; 18; 19; 20] და სხვ. და იძიებს საკითხს კავკასიის მადნეულის დამუშავების ხელოვნების ადგილობრივობისა თუ შემოტანილობის შესახებ (ამ უკანასკნელ გარემოებაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ). ავტორს მოჰყავს მეცნიერთა შეხედულებანი კავკასიის, მცირე აზიისა და ქვემო დუნაისპირული ქვეყნების ბრინჯაოს ხანის კულტურის ძეგლთა მსგავსების შესახებ. აგრეთვე სავარაუდო მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ ამ ქვეყანათაგან რომელი რომელზე დამოკიდებული ჩანს და დასძენს, რომ „ჯერ ძალიან ცოტა ნაშთებია შესწავლილი, რომ მკვლევარს საბოლოოდ შეეძლოს გადაჭრითა თქვას, სახელდობრ რომელი გზით ვრცელდებოდა კავკასიაში ეს ხელობა (მადნის შემუშავება, ა. კ.) თავდაპირველად. სამწუხაროდ, შემდეგ დროინდელი ქართველების ბინადრობის ხანის ნაშთები ჯერჯერობით სრულებით ამოთხრილი და შესწავლილი არ არის“ [1, გვ. 91].



თუ „ქართველი ერის ისტორიის“ ადრინდელ გამოცემებში არქეოლოგიის მონაცემებზე საუბარი ერის უძველესი კულტურის შესახებ ზოგად თხრობაში არის ჩართული და წერილობითი წყაროების, ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიის, ფოლკლორისა და სხვა რიგის მონაცემების გვერდით ერთგვარად დამორჩილებულის მდგომარეობა უჭირავს, ამავე ნაშრომის პირველი წიგნის მესამე, 1928 წლის გამოცემაში სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ამ წიგნის პირველი თავი ნივთიერი კულტურის შესწავლისადმი მიძღვნილი. მას ასეთი სათაური აქვს: „კავკასიისა და ქართველების ნივთიერი კულტურა“ [21, გვ. 7—37]. ასეთ ვითარებაში მკითხველს უფლება აქვს ავტორს ისე გაუგოს, რომ აღნიშნულ თავში გადმოცემული მსჯელობა თანაბრად შეეხება კავკასიის ძირეულ მოსახლეობასაც და მერე შემოსულ ქართველებსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში თავის სახელწოდება იქნებოდა „კავკასიისა და საქართველოს ნივთიერი კულტურა“; სადაც გარდა ქართველებისა, ცხადია, აქ მოსახლე სხვა ხალხების ნივთიერი კულტურის განხილვაც იქნებოდა ავტორისათვის საეალდებულო. მაგრამ, ბ-ნმა ივანემ ძალიან კარგად იცოდა, რასაც წერდა. იგი კარგად ითვალისწინებდა, რომ განსახილველი თავის მისეული რედაქცია კავკასიის სამეურნეო-კულტურულ აღმავლობაში ქართველებს არსებით წვლილს უდებდა. განა საყოველთაოდ არ არის ცნობილი, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართველებს კავკასიის ნიადაგზე აღმოცენებული ლითონის (ბრინჯაო-რკინის) კულტურის შემქმნელ ეთნიკურ სუბიექტად რაცხდა. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა ზემოთ მოტანილ პასაჟებიდან ენახეთ, რომ ავტორი ქართველებს კავკასიაში გვიან შემოსულ ხალხად თვლის. და თუმცა იგი ამ წიგნშიაც იმასვე იმეორებს, მაგრამ ამიერიდან აშკარად ჩანს (და ეს მთელმა მისმა შემდგომმა საისტორიო კვლევა-ძიებამ დაადასტურა), რომ მას სხვისთვის მაინც არ ეთმობოდა კავკასიის მიწის წიაღიდან ამომზეურებული მკვევრმეტყველი არქეოლოგიური ფაქტები, რომლის მნიშვნელობას ერის კულტურის ისტორიისათვის იგი კარგად გრძნობდა და რომლის შესახებ პროფესიულ მსჯელობას ავტორის ნაშრომებში უხვად შეხვდებით.

ყოველ შემთხვევაში, ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, ხსენებული არქეოლოგიური ფაქტები კავკასიაში ქართველთა თდინდელი ისტორიული ცხოვრების პირდაპირ მოწმობად თუ არა, მათი ახლო მონათესავე ტომების კულტურულ მემკვიდრეობად მაინც უნდა იქნეს მიჩნეული. კავკასიის არქეოლოგიური მონაპოვრის,

როგორც ქართველთა კულტურული მემკვიდრეობის (გარკვეული ხანიდან მაინც) ამ წიგნში განხილვის მიუცილებლობა ავტორს შედეგი წინადადებით აქვს გადმოცემული: „ის გარემოება, რომ ქართველი ტომები მრავალი საუკუნის განმავლობაში კავკასიის მკვიდრებად იქცნენ, მათი ნივთიერი კულტურის შესასწავლად გარკვეული ხანიდან კავკასიის არქეოლოგიური ფაქტების ცოდნასა და გათვალისწინებას აუცილებელს ხდის“ [21, გვ. 8].

თავის შესავალ ნაწილში ავტორი არქეოლოგიას პირველ ადგილზე ასახელებს იმ მეცნიერებათა შორის (ენათმეცნიერება, წერილობითი ისტორიის წყაროთმცოდნეობა), რომელთა ცნობების მოხმობა-გათვალისწინება ხალხის ნივთიერი კულტურის შესასწავლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამ ცნობათა გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელია წინაისტორიული ხანის ნივთიერი კულტურის სურათის აღდგენა, დაასკვნის ავტორი. არქეოლოგიას თავისი საკუთარი მეთოდები და კვლევა-ძიების თავისი სარბიელი აქვს. მაგრამ „კავკასიის არქეოლოგია თავის სპეციალურ საგნად ჯერ არაგის აურჩევია“ [21, გვ. 7]⁸ და სათანადო კვლევა-ძიებას შემთხვევითი, არაგეგმიანი ხასიათი აქვს. არც დაწესებულება არსებობს, რომელსაც მიზნად ქვეყნის მეთოდური გათხრა-შესწავლა ჰქონდეს დასახული და დავალებული. ის კი არა, არც ცალკეული მეცნიერი მოიპოვება, რომელსაც კავკასიის შუბეუმებში შემთხვევით თუ გათხრის შედეგად დაგროვილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალების თავმოყრა და ერთიანი გააზრება ეცადა. ამის გამო — შენიშნავს ცოტა ქვემოთ ავტორი — „ისტორიკოსს ჯერ უფლება არა აქვს არქეოლოგიურ თეორიებს სრული რწმენით დამყაროს“.

წიგნის პირველი თავი („კავკასიისა და ქართველების ნივთიერი კულტურა“) შეიცავს სამ დანაყოფს: I. არქეოლოგიური ფაქტები, II. ნივთიერი კულტურა წერილობითი წყაროების მიხედვით და III. ნივთიერი კულტურის ისტორიის მთავარი პრობლემები კავკასიაში. მეორე დანაყოფში, როგორც ცნობილია, დახასიათებუ-

⁸ აქ ბ-ნი ივანე რატომღაც ივიწყებს გ. ნიორაძესა და ს. მაკალათიას. თუმცა ქვემოთ გ. ნიორაძე რამდენჯერმე მოხსენებული კარსნისხევის სასაფლაოს მონაცემებზე მსჯელობისას (გვ. 12), „ხოლო ს. მაკალათია არაერთგზის არის მითითებული სვანეთში დაცულ „საქმისაის“ წესჩვეულების აღწერილობასთან დაკავშირებით (გვ. 65—68) და ქართულ წარმართულ პანთეონზე მსჯელობის დროს (გვ. 111—116).



ლია ქართველ ტომთა კულტურული ვითარება ძვ. წ. XI—VII და V—I საუკუნეებში ჯერ ასურული და ურარტული ლურსმული დამწერლობის წყაროების მიხედვით, ხოლო შემდეგ პეროდოტეს, ქსენოფონტის, სტრაბონისა და სხვათა ნაშრომებზე დაყრდნობით, ამდენად აქ კონკრეტულ არქეოლოგიურ მასალასთან არა გვაქვს საქმე. ჩვენთვის ამჟამად ყველაზე საინტერესო I დანაყოფია, რომელიც შედგება ხუთი პარაგრაფისაგან. ეს პარაგრაფებია: 1. კულტურის საფეხურები 2. დასაფლავების წესები, 3. ადამიანის ქონებრივი ავლადიდება, 4. აღებ-მიცემობა და ფული და 5. ხელოვნება.

პირველ პარაგრაფში ავტორი მიმოიხილავს იმ წლებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრული ცნობების სახით დაფიქსირდა სპეციალურ ლიტერატურაში. ამ ცნობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სტეფანე კრუკოვსკის აღმოჩენას 1916 წელს ჭიათურის რ-ნის სოფ. რგანის გვარჯილას კლდეში. როგორც ცნობილია, ამ მღვიმურ ნამოსახლარში ხსენებული მეცნიერის მიერ პალეოლითური ნაშთები იყო დადასტურებული. რაკი მანამდე კავკასიას ქვის ხანაში ადამიანის მიერ დასახლებულად არ თვლიდნენ, იგ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „პოლონელი მეცნიერის აღმოჩენამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, თუ რაოდენი სიფრთხილე ჰქართვეს მკვლევარს კავკასიის არქეოლოგიაზე მსჯელობის დროს“ [21, 8]⁹. ამგვარად, უძველესი ქვის ხანის არსებობა კავკასიაში დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს. ხოლო იმდროინდელი კულტურის გავრცელების ასპარეზისა და ხანგრძლივობის დადგენა მომავალი კვლევის საქმეაო. დღეისათვის ცნობილი მასალების მიხედვით, ქვის ხანას კავკასიის კულტურულ ცხოვრებაში შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონოდაო¹⁰. კავკასიისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბრინჯაოსა და რკინის ხანას, რომელიც აღნიშნული ლითონებისაგან ნაკეთები ნივთების სიუხვით გამოირჩევა.

⁹ უნდა ითქვას, რომ ეს არ იყო პალეოლითის პირველი აღმოჩენა საქართველოში. ასეთად უნდა ჩაითვალოს რ. შმიდტისა და ლ. კოზლოვსკის მუშაობის შედეგი წყალწითელას ხეობაში 1914 წელს (იხ. ზემოთ). რაც შეეხება გვარჯილას კლდის ნაშთების ხნოვანებას, იხ. დ. თუშაბრამიშვილის მონოგრაფია [22].

¹⁰ შემდგომმა კვლევამ კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში ძველი ქვის ხანის იმდენად მნიშვნელოვანი ძეგლები გამოამხეურა, რომ ჩვენი ქვეყანა ამ მხრივ ტოლს არ უდებს მსოფლიოში ცნობილ პალეოლითის გავრცელების კლასიკურ რეგიონებს, მათ შორის დორდონის დეპარტამენტსაც (საფრანგეთში).

„ეს ლითონის კულტურა კავკასიაში ახალმოსული ეროვნების ტომთა გადმოსახლებისა და დამკვიდრების წყალობით ჩანს შემოტანილი“ [21, გვ. 10].

აქ, ფრჩხილებში გავიხსენოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი 1913 წელს ეპვის ქვეშ აყენებდა რ. ვირხოვის დებულებას კავკასიის თავდაპირველი მოსახლეობის არიული წარმომავლობის შესახებ და საკითხის გადაწყვეტას მომავალ კვლევა-ძიებას ანდობდა. იგი წერდა: „იქნებ მომავალში, როცა კავკასიის უძველესი ნაშთები უკეთესად იქნება შესწავლილი, დამტკიცდეს, რომ სამთავროს სასაფლაო მე-XI—X-ე სს.-ს კი არ ეკუთვნის, არამედ უფრო წინა დროს“ [1, გვ. 65]. როგორც ვიცით, ეს ვარაუდი ბრწყინვალედ გაამართლა თვით ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით წარმოებულმა გათხრებმა მცხეთა-სამთავროში. სახელდობრ დადასტურდა, რომ სამთავროს სამაროვანი ათასიოდე წლით უფრო ხნიერი გამოდგა ვინემ მანამდე ვარაუდობდნენ, და რომ იქ სწორედ მე-ლითონეობაში დიდად გაწაფული მოსახლეობა იკრძალებოდა. ზოლო, რაკი „ეს ლითონის კულტურა კავკასიაში ახალმოსული ეროვნების (ე. ი. ქართველების, ა. კ.) ტომთა გადმოსახლებისა და დამკვიდრების წყალობით ჩანს შემოტანილი“ [21, გვ. 10], შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს პროცესი (თუ მაინცდამაინც გადმოსახლებაზე გვსურს ვიმსჯელოთ) გაცილებით ადრე, შუა ბრინჯაოს ხანიდან დაწყებულა, და შემდეგ და შემდეგ ადგილი ჰქონია არა თითო-ორიოლა ქართველის „შემოხიზნვას“, არამედ ამ მოდგმის ტომთა დიდი კომპაქტური მასების სახით გადმოსახლებას, რასაც საქართველო-კავკასიის სამაროვანთა მასობრიობა თუ მონაპოვრის, განსაკუთრებული სიუხვე და მრავალფეროვნებაც ამტკიცებს.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი ქართველთა კავკასიაში შემოღწევას აჭაურ სამარხებში ბრაქიკეფალური ანთროპოლოგიური ტიპის გამოჩენას უკავშირებდა. მაგრამ, ბრაქიკეფალობის პოსტულატი უმტკივნეულოდ მოხსნა ჩვენში თანამედროვე ანთროპოლოგიური მეცნიერების განვითარებამ, რომლის მიხედვით:

1. ანთროპოლოგიური ტიპების ცვლას საქართველო-კავკასიაში კანონზომიერი, ეპოქალური ტრანსფორმაციის ხასიათი ჰქონდა [46, გვ. 48];

2. სამთავროს სამაროვნის კრანიოლოგიური მასალის შესწავლის საფუძველზე დამტკიცებულად „შეიძლება ჩაითვალოს, რომ



გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის არავითარ მონაცვლეობას არ ჰქონია ადგილი“ [47; 46, გვ. 46].

3. „იმ უძველეს სამარხებში მოპოვებული ადამიანის თავის ქალების განომვის შემდეგ“ (ივ. ჯავახიშვილის სიტყვებია. ა. კ.) ჩვენს ანთროპოლოგებს საშუალება მიეცათ იმსჯელონ „ანთროპოლოგიური ტიპების თანდათანობითი განვითარების უწყვეტ ჯაჭვზე ბრინჯაოს ხანიდან თანამედროვეობამდე; რომ ამგვარად საკითხი გადაწყდა და ქართველების წინაპრები კავკასიის თავდაპირველ მკვიდრებად უნდა ვაღიაროთ“ [46, გვ. 48—49];

4. კავკასიაში დამოწმებული სამხრეთ-ევროპეოიდული რასის სამთავე ანთროპოლოგიური ტიპი — კასპიური, პონტური და წინა აზიური ამ რეგიონისათვის ავტოქტონური ტიპებია [46, გვ. 50].

ამგვარად, ჩვენს არქეოლოგიურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბ. კუფტინის მიერ წამოყენებულმა და ქართველ არქეოლოგთაგან ერთხმად გაზიარებულმა ქართველთა ავტოქტონობის თეზისმა [48] ესოდენ მტკიცე მხარდაჭერა ჰპოვა თანამედროვე ანთროპოლოგიურ კვლევა-ძიებაში.

მეორე პარაგრაფში, დასაფლავების წესის აღწერისას, ავტორი არჩევს ორმოსამარხებსა და გორასამარხებს. ამასთანავე აღნიშნავს, რომ გორასამარხი (ყორღანი) შეიძლება იყოს ორმოიანი და უორმოოც. სამთავროში გავრცელებული ყოფილა რიყის ქვებით ყორედ ამოყვანილი სამარხებიო — შენიშნავს ავტორი ბაიერნის კვალდაკვალ. შემდეგ ხანაში აქაც და სხვაგანაც გვხვდება ოთხკუთხა ორმოები ზემოდან ფილაქვით გადახურული და მიწით დაფარული. შემდეგ აღწერს ფილაქვებისაგან შედგენილ ქვისსამარხებს (ქვაყუთებს) და მოაქვს მათი რუსული, გერმანული და ფრანგული სახელწოდებანი. ქვისსამარხის ცალკე სახეობაა ნამტვრევი ქვისაგან, უტალახკიროდ ამოყვანილი სამარხი. სამთავროსათვის ავტორი აღნიშნავს აგურისა და სხვადასხვა სახეობის კრამიტისაგან ნაგებ სამარხებსაც. არ ივიწყებს ქვევრსამარხებსაც, ორსართულიან სამარხებს და სხვ. მკითხველის ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე მიცვალებულთა პოხა-განლაგებაზე, რომელიც სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხების დაკრძალვის წესებში მრავალი სხვადასხვა ვარიაციით იჩენს თავს. უფრო დაწვრილებით ჩერდება გ. ნიორაძის მიერ კარსნის ხევეში გათხრილ სასაფლაოზე დადასტურებულ დაკრძალვის წესებზე.



სამარხში თანჩატანებული ინვენტარის განხილვისას ავტორი სავსებით მართებულად არსებით მნიშვნელობას ანიჭებს კვერისა და სხვა სამეურნეო იარაღების (ცულების, დანებისა და სხვ.) აღმოჩენის ფაქტებს. ავტორი ჩამოთვლის ტანისამოსთან, ფეხსამოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ქსოვილისა და ტყავის ნაშთებს, აბზინდებს, ქინძისთავეებს, ლილებს, სხვადასხვა სახის სამკაულებს; მარგალიტ-ნიჟარა-მიძიებს, ჩანჩხურ-ძეწვე-საკიდებს, პირისფარვის საგნებს (სავარცხლებს, ჩქიფს) და მრ. მისთ. ავტორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უძველეს სამარხებში მოპოვებული საბრძოლველი იარაღი და საჭურველი (მახვილები, სატყეურები, შუბისა და ისრისპირები, სარტყელი, სათიხრები და სხვ.) და მათი დამზადების ხერხები (შედგენილი და მთლიანად სხმული სატყეარ-მახვილები, სარტყელთა მოხატულობა, სიუჟეტი და სხვა რეალიები). საინტერესოა, რომ ისრების ზომა-მოყვანილობაზე, ისე როგორც ფარების აგებულებაზე, ავტორი მსჯელობს უმეტესწილად ბრინჯაოს სარტყელებზე ამოკაწრული ორნამენტული სახეების მიხედვით. ავტორის ყურადღების ცენტრში ექცევა აგრეთვე თიხის ჭურჭლეულობა, მისი ზომა, ფორმა-მოყვანილობა, ფერი, თიხის შედგენილობა, კონსისტენცია, გამოწვის ხარისხი, დატანილ სახეთა სიუჟეტი და თვით სახეთა გამოყვანის ხერხები.

ავტორი ცალკე პარაგრაფს უძღვნის ფრანგი მეცნიერის ყაქდე მორგანის დაკვირვებას ბრინჯაოს ზოგი სამაჯურის აღებ-მიცემობაში საცვლელ ერთეულად (კავკასიურ სიკილად) გამოყენების შესახებ.

განხილული მასალების საფუძველზე, ავტორი ბოლო პარაგრაფში აღნიშნავს ხელოვნების განვითარების მაღალ დონეს. იგი ნივთებზე არჩევს ხაზოვან, წერტილოვან, გეომეტრიულ სტილს. ხაზს უსვამს ცხოველსახოვანი სტილის ფართო გამოყენებას, აღწერს ნადირობის სცენებს, სადაც ფანტასტიკურ და ნამდვილ ცხოველთა მოძრაობა განმაცვიფრებელი ექსპრესიით ხასიათდება [21, გვ. 12—20].

ქართველებისა და კავკასიელ ხალხთა უძველესი ნივთიერი კულტურის შესწავლისადმი მიძღვნილ თავში (ბოლო ნაწილი) ივ. ჯავახიშვილი ერთხელ კიდევ თავს უყრის იმ დროისათვის ცნობილ მეცნიერთა (ე. შანტრის, ყაქდე მორგანის, რ. ვირზოვის, გ. ვილკეს, ო. შრადერის, ნ. მარის, ბ. ბელკის, მ. ბლანკენჰორნის, მ. ჰერნესის და სხვ.) ყველა მოსაზრება-შეხედულებას, თეორიასა თუ პი-

Handwritten notes: 769.034 and 3






პოთეზას, ბიბლიის ცნობებს, ძველ მწერალთა გამონათქვამებს, მი-
თოლოგიურ გადმოცემებს, ეთნოგრაფიულსა თუ ფოლკლორულ მა-
სალებს, რაც კი ამა თუ იმ კუთხით ეხება და მეტ-ნაკლები სისრუ-
ლით აშუქებს „მელითონების ხელოვნებას ქართველი ერის კულ-
ტურულ ცხოვრებასა და კავკასიის ნივთიერი კულტურის ისტორი-
აში“, და საბოლოოდ დაასკვნის, რომ „ჯერჯერობით თითქმის ყველა
საკითხი საცილობელია“. ცხადი ის არის, რომ კავკასიის ხელოვ-
ნებას უშუალო და მჭიდრო კავშირი ასურულთან არ უჩანს. ზოგ რა-
მეში იგი დუნაისპირეთის ქვეყნების იმდროინდელ ხელოვნებას ემს-
გავსება, მაგრამ უფრო ახლო მსგავსება მიიწვ მიდნეულობის ხელო-
ბის დედაბუდედ ცნობილ მცირე აზიის ხელოვნებასთან გაიკვლე-
ვაო. საერთოდ კი, საკითხის საბოლოოდ გადაჭრისათვის ჯერჯერო-
ბით ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. „ამისათვის წინასწარი
მონოგრაფიული შესწავლა საჭირო ნივთების ქრონოლოგიური
კლასიფიკაციისა და გავრცელების გეოგრაფიული საზღვრების გათ-
ვალისწინებით. უნდა გამოჩვენებული იყოს ამ ფარგლებში თითოეუ-
ლი სახეობის საგნებისა და მხატვრული ნახატების გავრცელების
გზების მიმართულება და ინტენსივობაც. მხოლოდ ასეთი ყოველ-
მხრივი კვლევა-ძიების შემდგომ ზემოაღნიშნული პრობლემების გან-
ხილვა მტკიცე საფუძველზე იქნება დამყარებული“ [21, გვ. 37].

აქედან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებ-
და ივ. ჯავახიშვილი ნივთიერი კულტურის ძეგლთა ასაკობრივ დაჯ-
გუფებასა და მათი გავრცელების არეალის დადგენას. ამასთანავე,
ასეთი კვლევისას ავტორი, სავსებით მართებულად, წინა პლანზე
სწევს მხატვრული შემოქმედების ძეგლებსა და მათ ინტერპრეტა-
ციას, ვინაიდან კარგად იცის, რომ ნივთების ორნამენტაციაში და,
მაშასადამე, მხატვრულ აზროვნებაში გამოსჭვივის, პირველყოვლისა,
მათი შემქმნელი ეთნოკულტურული სუბიექტის ნიშანდობლივი
თვისებანი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიების წინაშე მსგავსი ამოცანების
წყენება, ვფიქრობთ, არის მოთხოვნა იმ ძირითადი მიმართულები-
სა, რომელიც მიმდინარე საუკუნის 50-იანი წლებიდან მოკიდებუ-
ლი დღემდე, ესოდენ ინტენსივობით მუშავდება საბჭოთა არქეო-
ლოგიაში არქეოლოგიური კულტურების თავისებურებათა დადგე-
ნა-შესწავლის საქმეში.

ვინც კარგად იცნობს საბჭოური არქეოლოგიის განვითარებას
გზებს, მის წინაშე მდგარ პრობლემებს, საზოგადოდ, და მიმდინა-
რე საუკუნის 20-იანი წლების საქართველო-კავკასიის არქეოლო-





გიური შესწავლის ვითარებას, კერძოდ, იგი არ შეიძლება უდიდესი პატივისცემის გრძობით არ განიმსჭვალოს ამ მეცნიერისადმი, ვისი სანაქებო ერუდიცია და ესოდენ ფართო პორიზონტი ქეშმარიტი ისტორიკოსისა თავისი შორსმხედველობით, საკითხის ღრმა, ფართო მოფიქრებითა და პერსპექტიულობის შეგრძნებით ქართული არქეოლოგიის დღევანდლობასაც ასე ომახიანად ეხმაურება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ივ. ჯავახიშვილი თავისი საზოგადოებრივი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ზენიტში იყო და მომავალსაც დიდი იმედით შეჰყურებდა. დიდმნიშვნელოვნად თვლიდა იგი 1930 წ. იენის-ოქტომბერში გერმანიაში მოწყობილ ქართული კულტურის ხელთუქმნელი ძეგლების გამოფენას და გულწრფელად ახარებდა მისი ფართო რეზონანსი, რაშიაც უეჭველად დიდი დეაწლი მის თანამოღვაწეთა და უმცროს კოლეგებს გ. ჩუბინაშვილსა და შ. ნუცუბიძეს მიუძღოდათ. იგი თვით იყო წევრი ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრების სახელმძღვანელოდ გამოყოფილი კომისიისა (იმავე გ. ჩუბინაშვილთან და გ. ნიორაძესთან ერთად). სამწუხაროდ, ამ პირველმა და უკანასკნელმა კამპანიამ (ხელმძღვ. დოქტ. შნაიდერი, მონაწილენი: ლ. მუსხელიშვილი, გ. გოზალიშვილი და სხვ.) მხოლოდ ორიოდე თვე (1930 წ. დეკემბერი — 1931 წ. იანვარი) იმუშავა [23, გვ. 468; 24, გვ. 188—201] და მერე დიდხანს აღარ განახლებულა¹¹.

ამის შემდეგ ივ. ჯავახიშვილს, მისი თაოსნობით დაარსებული მწობლიური უნივერსიტეტის ყოველგვარი საქმიანობისაგან უმართებულოდ ჩამოშორებულს, დიდი ხნის განმავლობაში საშუალება არა ჰქონდა უშუალოდ ჩარეულიყო ქვეყნის არქეოლოგიურ საქმიანობაში, რათა თავისი ნაშრომები ამ მეცნიერების მიღწევა-მონაპოვრით გაემდიდრებინა. ძველი, წინასაბჭოური ხანის სამეცნიერო კადრების მიმართ არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოჩენამ, სამეცნიერო საქმიანობასა და პედაგოგიურ პროცესში ზოგიერთი, აშკარად მანკიერი და არაპერსპექტიული ღონისძიების გატარებამ დიდის წვითა და დავვით ნაშენი ქართული უნივერსიტეტი ცალკეულ (საბედნიეროდ მხოლოდ დროებით) ნაწილებად დააქუცმაცეს, ხოლო მის დამაარსებელ-სულისჩამდგმელ მოღვაწეთა გარკვეული ნაწილი ლიბერალურ-ბურჟუაზიული სულისკვეთების მქონე პროფესურად მონათლეს. უნივერსიტეტიდან გარიყული ივ. ჯავახი-

¹¹ საველე არქეოლოგიური სამუშაოები ნოქალაქევი განახლდა მხოლოდ 1973 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი პროფ. პ. ზაქარაია).

შვილი 1931 წელს ინიშნება მთავარ კონსულტანტად საქართველოს მუზეუმში, რომლის სამეცნიერო საბჭოს წევრად იგი ჯერ კიდევ 1917 წლიდან ითვლებოდა.

როგორც ცნობილია, ამ წლიდან რეორგანიზებული „კავკასიის მუზეუმის“ ბაზაზე შექმნილი „საქართველოს მუზეუმი“ ნამდვილად იქცა ქართველოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად, რასაც სხვადასხვა გარემოებათა გარდა ხელი შეუწყო ცნობილ ქართველ მეცნიერთა (ივ. ჯავახიშვილი, გრ. წერეთელი, გ. ჩუბინაშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ალ. ჯანელიძე, ალ. თვალჭრელიძე, ირ. სონდულაშვილი, დ. შევარდნაძე და სხვ.) მალალმა სამეცნიერო-საზოგადოებრივმა ავტორიტეტმა და ჭეშმარიტმა პატრიოტულმა მოღვაწეობამ. ჩვენი ეროვნული საუნჯის ამ საგანძურშივე იყრიდნენ თავს ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებული მომდევნო თაობისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები (გ. ჩიტაია, პ. ინგოროყვა, გ. ნიორაძე, ს. მაკალათია, გ. გოზალიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, შ. ამირანაშვილი, თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი, ნ. იოსელიანი, ივ. კაჭარავა, ივ. ჩხიკვიშვილი, ი. აბულაძე, შ. ჩხეტია, ტ. გრიგოლია, გ. ჯაკობია, ალ. ბარამიძე და სხვ.), რომლებმაც შემდეგში სათითაოდ ქართველთმცოდნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს. ეს გარემოება, რასაკვირველია, ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობასაც პოზიტიურ ნიშნებს უქმნიდა და მის კოლეგებსა თუ მოწაფე-ახალგაზრდობასაც მშობლიური მეცნიერების სამსახურისათვის თავდადებული შრომის განწყობილებით მუხტავდა.

ივ. ჯავახიშვილსა და მის მოწაფეებს არც ქართული არქეოლოგიის ბედზე ზრუნვა აკლდათ, რაც კარგად გამოსჭვივის თუნდაც იმ მიმოწერიდან (25), რომელიც ივ. ჯავახიშვილსა და ლ. მუსხელიშვილს შორის გაიმართა სწორედ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო წლებში¹².

¹² ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით იხ. ლ. მუსხელიშვილის წერილები ივ. ჯავახიშვილისადმი, 1933 წლის 12 თებერვლითა და 9 მარტით დათარიღებული და ბ-ნი ივანე ჯავახიშვილის წერილი ლ. მუსხელიშვილისადმი, ამავე წლის 3 მარტს გაგზავნილი [25, № 7, გვ. 179-181].

იქვე, 188-ე გვერდზე მოთავსებული 32-ე შენიშვნის გამო საქირო, აღინიშნოს, რომ მცხეთაში ფართო არქეოლოგიური სამუშაოები წამოწყებულ იქნა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ 1937 წლის ზაფხულში. მათში მონაწილეობა ლ. მუსხელიშვილმა, დიდი ვადატვირთულობის გამო, მხოლოდ 1940 წლის ოქტომბერ-ნოემბერში შესძლო.

ქართული ხელოვნების ძეგლების დასავლეთ ევროპაში გატანისა და მათი ფართო პროპაგანდის გამოძახილი იყო არქეოლოგიაში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა წამოწყებაცა და მცხეთა-სამთავროსათვის სათანადო ვარაუდის გაწევაც. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1930 წლის 16 აგვისტოს თავის უახლოეს მოწაფეს ლევან მუსხელიშვილს წერდა: „...მცხეთისა და ნოქალაქევის გათხრა თითქოს საბოლოოდ გადაწყვეტილია¹³ და შემოდგომითგან უნდა დაიწყონ საქმე. მაშინ თქვენ, წინასწარი გეგმისა და შეთანხმების მიხედვით, ამ საქმეშიც მოგიხდებათ მონაწილეობის მიღება, რაც თავისთავადაც მნიშვნელოვანია. ნამდვილი არქეოლოგიური კვლევაძიების შესწავლის საუკეთესო შემთხვევა და საშუალება გექმნებათ. ეს შემოდგომას გამოირკვევა. როგორც ხედავთ, ფართო სამეცნიერო ასპარეზი იშლება“ [25, 6, გვ. 185]. აღსანიშნავია ის განსაკუთრებული ინტერესი მცხეთა-სამთავროს გათხრებისადმი, რომელსაც მასწავლებელთან ერთად მისი მოწაფე იჩენდა. 1933 წლის 12 თებერვალს ლ. მუსხელიშვილი აბასთუმნიდან (სადაც მას ხანგრძლივი მკურნალობა უხდებოდა) ივ. ჯავახიშვილს სწერდა: „მე აქ დიდმა მოუთმენლობამ შემიპყრო. ბ-ნი შ. ნუცუბიძემ მწერს, რომ აპრილში შეიძლება გერმანელი არქეოლოგები ჩამოვიდნენ სამთავროში სამუშაოდ. რასაკვირველია, მეც იქ ვიმუშავებ და იმედი მაქვს, რომ საფუძვლიან პრაქტიკას შევიძინე, სწორე მოვახსენოთ, ბ-ნო ივანე, სანამ პრაქტიკა მაკლია, არქეოლოგად თავს ვერ ვიგარძნობ“ [25, 7, გვ. 179] (ხაზგასმა ჩვენია). დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ლ. მუსხელიშვილი, უზომოდ გახარებული და ფრთაშესხმული იმით, რომ ივ. ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ აღადგინეს, აგრეთვე იმით, რომ კათედრის გამგემ მას მე-4 კურსის სტუდენტთათვის სიძველეთმცოდნეობის სპეცკურსის წაკითხვა შესთავაზა, კვლავ უბრუნდება სანუკვარ ოცნებას მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში მონაწილეობის შესახებ და მასწავლებლისადმი თავის სამადლობელ წერილში წერს: „უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, თუ კი მცხეთაში ამ გაზაფხულზე (იგულისხმება 1933 წ. გაზაფხული. ა. კ.) მუშაობა დაიწყოს..., რომ მე ამ მუშაობას დავესწრო. ეს ხომ მსოფლიო მნიშვნელობის გათხრაა და სათანადო პა-

¹³ წერილის ავტორს მხედველობაში ჰქონდა პროფ. შ. ნუცუბიძის წერილი ბერლინიდან, (26).

სუხისმგებლობითაც იქნება ალბათ ნაწარმოები. მეორე ამისთანა სკოლას როდესმე მოვესწრები კიდევ, ვინ იცის? ამიტომ მე მზად ვარ ყოველგვარ პირობებზე, ოღონდ კი სამთავროს გათხრაში მონაწილეობა მივიღო...” [25, 7, გვ. 181]¹⁴. მაგრამ ნცხეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა, სამწუხაროდ, კიდევ ოთხი წლით დაივანა. სამაგიეროდ, და ჩვენდა სასიხარულოდ, ეს გათხრები 1937 წლიდან ქართველთმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი კერების (ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს მუზეუმის, თბილისის უნივერსიტეტის) ერთობლივ ღონისძიებათა გატარების მეოხებით სრულიად ახალ, მკვიდრ საფუძველზე მოეწყო; ამასთან დაკავშირებულ მთელ სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობას, აქედან მოკიდებული დღემდე, მეტ-ნაკლები წარმატებით მხოლოდ ქართული მამულიწვილური სამეცნიერო კადრები უძღვებოდა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ივ. ჯავახიშვილი 1931 წლიდან საქართველოს მუზეუმის მთავარი მრჩეველია, ხოლო 1936 წლიდან გარდაცვალებამდე — მის მიერვე დაარსებული ისტორიის განყოფილების გამგეც. ეს ათწლეული (1931—1940 წწ.) საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა. პირველ ყოვლისა, გაიხსნა „არქეოლოგიური გამოფენა“ (1934), „საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის გამოფენა“ (1937), ეთნოგრაფიული გამოფენები: „ხეცსურეთი“, „სვანეთი“ და სხვ. (1931). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს

14 ლ. მუსხელიშვილი აქვე დასძენს: „იზვესტიაში“ ეწერა, რომ ამ სამუშაოს იწყებს საქ. მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილება. ბ-ნ შ. ნუცუბიძესთან მოლაპარაკებული ვარ, მაგრამ თუ ეს საკითხი მუზეუმში გადაწყდა, დიდი მნიშვნელობა ექნება გ. ჩუბინაშვილის სიტყვას. დიდი ბოდიში შეწუხებისათვის ბ-ნ ივანე, მაგრამ ისევ თქვენ უნდა ვთხოვოთ, რომ პრაქტ. ჩუბინაშვილს მოელაპარაკოთ ამ საგნის შესახებ. მე თვითონ მიიწერ გ. ჩუბინაშვილს“.

მცხეთა-სამთავროში მუშაობის დაწყების გარემოებათა შესახებ იხ. აქვე, ჩვენი მე-12 შენიშვნა. წერილში არა ნაკლებ საყურადღებოა ლ. მუსხელიშვილისაგან ასეთი ხაზგასმა გ. ჩუბინაშვილის კომპეტენტურობაზე არქეოლოგიის საკითხებში, რის გამოც ამ უკანასკნელის სიტყვას არქეოლოგიურ სამუშაოთა ორგანიზაციის საქმეში ესოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წერილის ავტორი. ეს გარემოება საცხებით ცხადი ვახდა ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის, როდესაც (1936—1940 წლებში) გ. ჩუბინაშვილი თავისი მაღალკვალიფიციური რჩევა-დარიგებით დიდ დახმარებას უწყევდა თუნდაც იმავე ლ. მუსხელიშვილს შუასაუკუნეთა არქეოლოგიური ძეგლების თხრისას. პირადად ჩვენთვის და ჩვენი კოლეგებისათვის კი დაუფასებელია ამაგი, რაც. გ. ჩუბინაშვილმა „მცხეთა“-1-ის ქართულ-რუსულ გამოცემათა საქმეს დასდო.

შოთა რუსთაველის ეპოქის ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა გამოფენა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მშრომელთა ფართო მასების ზოგადი განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების, სამშობლოსა და მშობელი ხალხის სახელოვანი ისტორიის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შესწავლისადმი ინტერესის სულ უფრო მეტად გაღვივების საქმეში. საქართველოს მუზეუმი თავისი კადრებითა და სამეცნიერო-ტექნიკური რესურსებით ორგანულად ჩაერთო თრიალეთსა და მცხეთა-სამთავროში ფართოდ გაშლილ საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებასა და მოპოვებული მასალების კამერულ-ლაბორატორიულ დამუშავებაში. ამ სამუშაოთა ჩატარების შედეგად, აგრეთვე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავთან დაკავშირებულ ფართო სამუშაო პროგრამის მიხედვით განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, მნიშვნელოვნად შეივსო და გამდიდრდა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული საგანძური და ბევრ სხვა საინტერესო წამოწყებასთან ერთად, მომზადდა ნიადაგი თემატური გამოფენისათვის: „მცხეთა და თრიალეთი — საქართველოს უძველესი კულტურული კერები“. თუმცა ეს გამოფენა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ (1941 წლის თებერვლის გასულს) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების დღეებში გაიხსნა, მაგრამ, მისი, ისევე როგორც სხვა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებათა ერთ-ერთი პირველი მოთავე, მომწყობი და სულისჩამდგმელი ივ. ჯავახიშვილი იყო.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ საქართველოს მუზეუმში 1934 წელს გახსნილი „არქეოლოგიური გამოფენა“. ივ. ჯავახიშვილი, როგორც მუზეუმის სწავლული მრჩეველი, მუზეუმის დირექციისა და სამეცნიერო საბჭოს თხოვნით, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით ეცნობა საგამოფენო გეგმას. ამასთან დაკავშირებით იგი ბევრ ფაქტიურ, საორგანიზაციო-მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნას გამოთქვამს 1934 წლის მარტში დაწერილ ვრცელ მოხსენებით ბარათში. ამ მოხსენებითი ბარათის სახელწოდებაა „რამდენიმე მოსაზრება საქართველოს მუზეუმის გამოფენის შესახებ: კლასთა უწინარესი საზოგადოება კავკასიაში“. არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით: „ავტორი სათანადოს მიუხლავს გამოფენის გეგმის შემდგენელთ, ძირითადად იწონებს მათ ნაშუავეს და კმაყოფილებას გამოსთქვამს, რომ მუზეუმის არქეოლოგიის განყოფა-



ლებაში დაცული ნივთიერი კულტურის დიდმნიშვნელოვანი და დღემდე მეცნიერულ მიმოქცევაში ჩაურთველი ძვირფასი მასალები ამერიიდან ფართო მსახველი საზოგადოებისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდებო¹⁵.

ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებული მოხსენებით ბარათი ჩვენამდე დაწვრილებით გარჩეული ჰქონდა ჩვენს კოლეგას გიორგი ლომთათიძეს საგანგებო ნაშრომში „ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში“ [27]. აქ ავტორს ჯეროვნად აქვს შეფასებული ამ მეცნიერის საარქეოლოგიო მოღვაწეობაცა და ამჟამად ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტიც გამოწვლილებით აქვს შესწავლილი. ამიტომ, იქნებ მასზე დაწვრილებით შეჩივრება ზედმეტიც იყოს.

გავეცნოთ მაინც ივ. ჯავახიშვილის ზოგიერთ შენიშვნას. ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებს გეგმაში მიღებულ წესს — არქეოლოგიური მასალის სადაფრობა-წარმომავლობა აღნიშნონ თანამედროვე აღმინისტრაციულ-პოლიტიკური და ეროვნული სახელებით („სომხეთი“, „აფხაზეთი“, „ყარაბაღი“ და სხვ.), რამაც მსახველი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს. მაგ., ეაკ დე მორგანის მიერ ახტალაში (დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე), ერთ-ერთ სამარხში მოპოვებულ კვერის ნაშთებს მიწერილი უნდა ჰქონოდა, რომ იგი სომხეთში არის აღმოჩენილი. მაგრამ, ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ, იმხანად, რომელსაც სამარხში ნაპოვნი კვერი ეკუთვნის, არამცთუ იქ, არამედ საერთოდ კავკასიაში სომხეთი არ არსებობდა“... საერთოდ, სახელდობრ ვინ, რომელი ერი ან ტომი ცხოვრობდა იმ ადგილებში იმ დროს, რომელსაც გამოსაფენი არქეოლოგიური ნივთები მიეკუთვნება, ჯერ არავინ იცის და შესაძლებელია, მეცნიერებამ ამის გამორტყევა, ზედმიწევნით მომავალშიაც ვერ მოახერხოს, დამთვალერებელს კი, რომელმაც — კი კავ-

15 მოხსენებითი ბარათის ავტორის კმაყოფილება ამასთან დაკავშირებით მით უფრო გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ ავტორის მიერ 1928 წელს მანამდე დაკრძებული არქეოლოგიური მასალების ბედის შესახებ გამოთქმულ ჩივილს: „ჯერჯერობით არც ცალკეული მეცნიერი მოიპოვება, რომელსაც მიზნად იმ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ფაქტებისა და ძეგლების სპეციალური, მთელი სიერცე-სიღრმით, შესწავლა მაინც დაესახოს, რომლებიც საქართველოს და მეზობელ რესპუბლიკების მუზეუმებში გათხრილობისა და შეგროვების წყალობით საქამო რიცხვით და მრავალფეროვნებით არის თავმოყრილი“ [21,7].



კასიის უძველესი ისტორია არ იცის, ეგონება, რომ იმ ბრინჯაოს ხანაშიც სომხეთი, აფხაზეთი და სხვა თანამედროვე სახელმწიფოებრივი ერთეულები არსებობდნენ და იქვე, სწორედ, სადაც ამჟამად მდებარეობენ, რაც ცხადია, მეტად სამწუხარო იქნება“ (ხაზგასმა ყველგან ავტორისაა. ა. კ.). რეცენზენტის რჩევაა, გაშლადენი ნივთების აღმოჩენის ადგილი გეოგრაფიული სახელით იყო ნაჩვენები, „ე. ი. სწორედ იმ ქალაქისა, სოფლისა თუ აგარაკის, ანდა სხვა ადგილის სახელით, სადაც ესა თუ ის ნივთი იყო ნაპოვნი, ან ამოთხრილი“. რეცენზენტი, ალ. თვალჭრელიძის ნაშრომზე დაყრდნობით, ასწორებს გამოფენის მოწყობთა ვარაუდს დევსხვრელში (ზემო იმერეთი) თბსიდიანის შორეული მხარეებიდან (კერძოდ, სომხეთიდან) შემოტანის შესახებ. საამისოდ საკმარისი იქნებოდა თრიალეთ-ჯავახეთის ან აქარის მეზობელ თემებში გადასვლა. ასევე დაუსაბუთებლად მიაჩნია მას მტკიცება, რომ ბრინჯაო-რკინის ხანაში მხოლოდ მატყლის უხვეში ქსოვილი იხმარებოდა. იგი მოაგონებს არქეოლოგებს, რომ რამდენადაც ქსოვილის „წვრილდაფიანი სახედაო“ მიწაში არ ინახება და ხშირად „მისაქსელი“ ძაფების კანვის ამარა ვრჩებით, ჩვენ გვგონია, რომ უხვე ქსოვილთან ვვაქვს საქმე. სინამდვილეში კი საქმის ვითარება შესაძლოა სხვაგვარი ყოფილიყო. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ ხანაში მატყლის გარდა სელის ქსოვილიც უნდა ყოფილიყო ხმარებაში, მით უმეტეს, რომ ამის (სელისა და ბამბის ქსოვილთა) კვალი ჯერ კიდევ ეაკ დე მორგანს ჰქონდა დადასტურებული ჩვენი მხარის სამხრეთი რაიონების სამარხეულ ინვენტარში. ეს კარგად ჰქონდათ შენიშნული ძველ ბერძენ მწერლებს და კერძოდ ჰეროდოტეს, რომელიც კოლხური სელის ნაწარმს მაღალ შეფასებას აძლევდა. ყველა ამის ცოდნას (ე. ი. არქეოლოგიური ფაქტებისა და წერილობით წყაროთა დამთხვევას) დამთვალეირებლებისათვის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ექნებაო.

მუზეუმის არქეოლოგიურ მასალათა მომავალ ექსპოზიციამში გამოფენის მომწყობნი სრულიად მართებულად ფიქრობდნენ გასული საუკუნის 70-იან წლებში მოპოვებული „ყაზბეგის განძის“ სახელით ცნობილი ფრიად მეტყველი და გამოფენისათვის ერთობ მომგებიანი ნივთების გამოტანასაც. როგორც ცნობილია, ამ ნივთებს შორის პირველი ადგილი უჭირავს მცირე ხელოვნების ნიმუშებს ადამიანის, მხედრის, ფრინველის, ირმის, ძაღლის, ცხენისა და

სხვა სკულპტურულ გამოსახულებათა სახით. აღნიშნული მასალები
ბის გამოფენის გეგმა გულისხმობდა აკად. ნ. მარის ერთი ფრიად
საინტერესო. მეტყველების პალეონტოლოგიური ანალიზის მეშვე-
ობით მიღებული დებულების ერთგვარ ილუსტრაციას, რომელიც
მდგომარეობს ჩრდილოეთის ხალხებში გამწვევ ძალად გამოყენე-
ბული ძაღლის, ირმისა და ცხენის ფუნქციურ მონაცვლეობაში
[28]. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ მსგავსი დებულება ნ. მარს
ნართლაც აქვს გამოთქმული, მაგრამ იმავე დროს, მას „ამავე სა-
კითხის შესახებ არაერთი სხვანაირი დებულებაც აქვს წამოყენე-
ბული“. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დებულება შემოხსენებულ
ცხოველთა „ასეთი ფუნქციონალობის თანამიმდევრობაზე შესა-
ძლებელია მართო ჩრდილოეთის მოსახლეობის კულტურის განვი-
თარების სფეროში იქნეს სამართლიანად მიჩნეული. სამხრეთში კი,
-ქ. სადაც კავკასია მდებარეობს, არაფერი ამის მსგავსი
არასდროს არ ყოფილა: ძაღლი აქ მხოლოდ მოდარაჯე
და სანადირო ცხოველი იყო და არის ეხლაც“. მაშინ, როდესაც
ირეში „აქ მხოლოდ გარეული ცხოველი იყო, რომ-
ლის მონადირეობაც მართო მონადირეთა მიზანს შეადგენდა“. ამის
სანაცვლოდ, ივ. ჯავახიშვილი რჩევას იძლევა, რომ ყაზბეგის ბრინ-
ჯაოს ნივთების ფანტასტიკური ხასიათი აიხსნას იმდროინდელ ზღაპ-
რულ წარმოდგენათა მონაცემების შუქზე.

ასევე, საკამათოდ ნიანჩია ივ. ჯავახიშვილს საგამოფენო გეგ-
მის ავტორებს მიერ ყობანურ ცულზე შვიდი გველისა და მათთან
მებრძოლი მებისრის გამომხატველი სცენის ინტერპრეტაცია. თუმცა
იგი იზიარებს ავტორთა მოსაზრებას, რომ ეს სცენა სიმბოლური
მნიშვნელობის თქმულების გადმომცემია, მაგრამ უარყოფს მის
გაიგივებას ამირანის თქმულებასთან (ამირანი ყოველთვის ხმლით
არის შეიარაღებული და გველეშაპს ებრძვის, ცულზე გამოსახული
ადამიანი კი მშვილდისრით ებრძვის გველებს) და საბოლოოდ სა-
კითხის სპეციალურ შესწავლას მოითხოვს.

რეცენზენტის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს „სა-
მარხების სხვადასხვა დროის, წესისა და სა-
ხეობის თვალსაჩინოდ, მთელი თავისი აგებუ-
ლებამოწყობილობითურთ წარმოდგენის“ გეგმა,
რამდენადაც იგი დამთვლიერებელს საშუალებას აძლევს „მა-
შინდელი ადამიანის ნივთიერი ავლადიდება და
კულტურის დონე შეძლებისამებრ სრულად

წარმოიდგინოს“. მან უნდა გაიგოს, რომ ოქრო-ვერცხლის გარდა „მეცნიერებისათვის ძვირფასია სამარხავის ყოველი ნივთი, ყოველი ძვალი, ყოველი წვრილმანიც-კი... და ყველას მოვალეობაა უკვე ცნობილი არქეოლოგიური ძეგლების დაცვას ხელი შეუწყოს, ნაპოვნი დაიცვას, პოვნა-აღმოჩენის ამბავი ხელისუფლებასაც და მუზეუმსაც აცნობოს“.

საერთოდ მოწონებული და ივ. ჯავახიშვილის ბევრი სახელმძღვანელო დებულების მიხედვით შესწორებულ-დაზუსტებული ეს საექსპოზიციო გეგმა წარმატებით განხორციელდა კიდეც 1934 წლისათვის. ამან შესაძლებელი გახადა ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო ათეული წლების განმავლობაში მუზეუმში დაუნჯებული, მანამდე უძრავი, პირველხარისხოვანი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ამიერიდან, მოსახლეობის ფართო მასების საგანმანათლებლო საშუალების გარდა, საქართველო-კავკასიის ძველი და უძველესი ისტორიის პირუთვნელ დოკუმენტურ წყაროებად იქცნენ. არ იქნებოდა გადაჭარბებული, თუ ვიტყვოდით, რომ იგი (ეს გამოფენა) მეტ-ნაკლები სისრულით ასახავდა თავისი დროის არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებას და მის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში.

მაგრამ ეს ენერგია, ცოდნა და ერთუდიცია თითქოს წვეთია იმასთან შედარებით, რაც ივ. ჯავახიშვილმა დახარჯა შოთა რუსთაველის უქცნობი ნაწარმოების იუბილესათვის მოსამზადებელ პერიოდში (1935—1937 წწ.) „საქართველოს XI—XIII სს. მატერიალური კულტურის“ მასალების მოპოვება-შესწავლაზე, მათ გამოფენასა და პროპაგანდაზე. აღნიშნულ წლებში ივ. ჯავახიშვილის მიერ გაწეული მუშაობა იმდენად ფართო, ღრმა, შრომატევადი და მნიშვნელოვანი იყო, რომ, გიორგი ლომთათიძის სამართლიანი განცხადებისა არ იყოს, სწორედ იგი უნდა ჩაითვალოს საქართველოს შუასაუკუნეთა არქეოლოგიის დამაარსებლად [27, გვ. 17]¹⁶.

ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის ეს პერიოდი შესაძლებელი სისრულით აქვს დახასიათებულ-გადმოცემული მისი ამ საქმიანობის ერთ-ერთ ნიჭიერ გამგრძელებელს გიორგი ლომთათიძეს, რის გამოც მკითხველის ყურადღებას აქ აღარ გადავტვირთავთ. მაგრამ, არ იქ-

¹⁶ შუასაუკუნეთა საქართველოს არქეოლოგიის შემსწავლელი საგანგებო განყოფილების შექმნა (ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში) შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1965 წელს, გ. ლომთათიძის მცდელობითა და ხელმძღვანელობით [29, 30].



ნებოდა ზედმეტი ერთხელ კიდევ გახსენება იმისა, თუ როგორ ჰქონდა წარმოდგენილი ივ. ჯავახიშვილს ზემოხსენებული გამოფენა, რა ელემენტებისაგან უნდა შემდგარიყო იგი, რა სიძნელებთან იქნებოდა დაკავშირებული საჭირო მასალების მოპოვება და მათი ექსპოზიციის განხორციელებისას საბოლოოდ როგორი იერსახე უნდა მიეღო მას.

„...გამოფენა მთელი მაშინდელი მატერიალური კულტურის ამსახველი უნდა იყოს. გამოფენამ უნდა მნახველს უჩვენოს, თუ როგორ ცხოვრობდნენ საქართველოში XI—XIII სს. როგორი იყო მისი სახელმწიფოებრიობა, როგორი იყო მისი წესწყობილება, გამოფენის მნახველს საშუალება უნდა ჰქონდეს, რომ სახელმწიფო დარბაზობისა და ვაზირობის, ისევე, როგორც რაინდობის წესები წარმოიდგინოს, იცოდეს, რას იცვამდნენ და იხურავდნენ მაშინ, როგორი ავეჯი და ქურჭელი ჰქონდათ, რა სამეურნეო და საბრძოლო იარაღი იყო გავრცელებული, რა დონე ჰქონდა მაშინდელ სასოფლო მეურნეობას, მევენახეობას, მესაქონლეობას, რა და რა ხელობა არსებობდა მაშინ, როგორ იყო მოწყობილი საქალაქო ცხოვრება და ვაჭრობა-მრეწველობა... მაშინდელი მატერიალური კულტურის ისტორიის აღსადგენად, მისი დონის გასათვალისწინებლად... რა თქმა უნდა, მარტო წერილობითი წყაროების ცნობები საკმარისი არ არის, არამედ ამ კულტურის თვით იმდროინდელი ნივთებიც არის აუცილებლად საჭირო. ვისაც მატერიალური კულტურის ისტორია თუნდაც მარტო გადაკითხული აქვს, ეცოდინება, რომ უძველესი ხანის საყოფაცხოვრებო ნივთები და საგნები, ტანისამოსი, თავსაბურავი, ფეხსაცმელი, ქსოვილები, ავეჯი, ქურჭელი და იარაღი მეტად ცოტაა გადარჩენილი და იშვიათად თუ სადმე მოიპოვება, ისიც, თითო-ოროლა. პოლიტიკური ცხოვრების უკუღმართობამ, დროისა და ჰავა-ნიადავის უღმობელობამ და წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობამ ასეთი საგნების უმეტესობა იმსხვერპლა და ხშირად უკვალდაც კი დაუყარგა მეცნიერებს... ძველ საქართველოზე მრავალგზის თავსდამტყდარიმა უბედურებამ ქართული მატერიალური კულტურის მრავალი ძეგლი იმსხვერპლა, ხოლო, რაც გადარჩა, იმათგანაც ბევრი რამ რომანოვების ხანაში მთავრობის მოხელეთა უკულტურო ბატონობისა და ჩვენს წარსულ თაობათა შეუგნებლობა-დაუდევრობის გამო გაჩანაგდა და განადკვურდა. ამიტომ, გასაკვირველიც არაფერია, თუ ჩვენ XI—XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ნივთიერ ნაშთთაგან ძალიან ცოტა-და გვაქვს გადარჩენილი... ცნობილია, რომ

ვაჭრობა-მრეწველობისა და ხელობა-ხელოსნობის კერა უმთავრესად ქალაქებში იყო. ამიტომაც, მაშინდელი საქართველოს ქალაქის გეგმისა და ყოფა-ცხოვრების ცოდნა და წარმოდგენა იყო საჭირო. რაქი, საქართველოს ჩვენს დრომდის არსებული ძველი ქალაქებიდან არცერთს ძველი საქალაქო კულტურის აღარავითარი ძეგლი შერჩენილი არა აქვს, ამის გამო ნაქალაქარი დიანისის გათხრას შევუდექით. იმედი გვქონდა, იქ, ქალაქის იმდროინდელ გეგმას მაინც გამოვარკვევდით, მოწყობილობას ვნახავდით და საყოფაცხოვრებო საგნებს ვიპოვიდით“ [31, გვ. 3—4].

როგორც ცნობილია, აღნიშნულმა სამუშაოებმა მომლოდინეთა იმედები საცესებით გაამართლა და ამ წლებში დიანისში, ბონისში, გეგუთში, გუდარჩხში, სხალტბასა და სხვ. წარმოებული გათხრების შედეგად დაგროვდა დიდძალი მასალა, რომელიც არა მარტო საფუძვლად დაედო XI—XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის გამოფენას, არამედ ჩვენს საცავებში შუასაუკუნეობრივი კულტურის ძეგლთა ფონდების მნიშვნელოვნად შემავსებელ წყაროდაც იქცა. მეორე მხრივ, ამ ღონისძიებათა გატარების მეოხებით შუასაუკუნეთა სპეციალისტ-არქეოლოგთა კადრიც გამოიზარდა და სათანადო სპეციალური ლიტერატურაც შეიქმნა [32—36]. ამასთანავე განსაცვიფრებელია ის უღვევი ენერგია, შეუწელებელი ყურადღება და ზრუნვა, რაც ივანე ჯავახიშვილმა, მიუხედავად ახალგაზრდობიდანვე შერყეული ჯანმრთელობის საერთო გაუარესებისა, გამოამუღავნა ამ პერიოდში საველე არქეოლოგიურ სამუშაოთა დროს, როდესაც იგი ყოველთვის მზად იყო პირადად ენახა და შეენოწმებინა თხრის ობიექტზე წარმოებული მუშაობა, რჩევა-დარიგება მიეცა ადგილზე მომუშავე სპეციალისტებისათვის, ეზრუნა მათ არა მარტო მატერიალურ-ტექნიკურ მოპარაგებაზე, არამედ კვების ორგანიზაციაზე, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებებზე. მან კარგად იცოდა, რომ არქეოლოგიური თხრა, როგორც ფენომენის მეცნიერული შემეცნების პირველადი პროცესი, მეტად თავისებური, ერთგზისი, განუმეორებელია და ამ პროცესს მკვლევარი ობტიმალურ პირობებში ჩაყენებული და თავადაც საღი, დაძაბული, მახვილი გონებით აღჭურვილი უნდა შეხვდეს. სწორედ, რომ დაუფასებელია ის რჩევა-დარიგებანი, რასაც იგი აძლევს თავის მოწაფე-თანამშრომელს ლევან მუსხელიშვილს, როგორ მოიქცეს და რას უნდა ელოდოს იგი, მაგალითად, ნაგებობათა თხრის დროს (როდესაც პორტატული, საყოფაცხოვრებო ნივთების შეხვედრის შანსი ნაკლებია), რაოდენ



შრომატევადია და რა სპეციფიკურ პირობებთან არის დაკავშირებული სამაროვნების თხრა, რამდენადაც იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ტექნიკურ აღჭურვილობას, სათუთი არქეოლოგიური მონაპოვრის გადასარჩენად საგანგებო სარესტავრაციო საკონსერვაციო საშუალებებს, საამისოდ განსწავლულ სპეციალისტებსა და მრავალი სხე¹⁷.

„ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთან დაკავშირებით, 1938 წლის იანვრის პირველ რიცხვებში ენიმკიმ მოიწვია საგანგებო, ერთგვარად შემეჩაამებელი პლენუმი, რომელზეც წაკითხული იყო მოხსენებები: ივ. ჭავჭავიძისა — რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა და ბ. კუფტინისა — ქართული კულტურის უძველესი ფესვების შესახებ საქართველოში 1936 — 1937 წწ. მოპოვებული მასალების მიხედვით. მოხსენებათა მიმართ გამოჩენილ ინტერესზე მეტყველებს ცნობილ აკადემიკოსთა — ვ. შიშმარიოვის, ი. მეშჩანინოვისა და ვ. სტრუვეს აღფრთოვანებული გამოსვლები. კერძოდ, ვ. სტრუვე აღნიშნავდა: „უკვდავი შოთა რუსთაველის დიდებულ პოემას ფესვები გაცილებით უფრო ღრმად უნდა ჰქონდეს წარსულში გადგმული, ვიდრე ეს დღემდე ივარაუდებოდა“. საქართველოში მოპოვებული შესანიშნავი არქეოლოგიური მასალები (კერძოდ ცხოვრების ხის — კედარის გამოსახულებიანი ვერცხლის თასი) „ამტყიცებს, რომ ამ ძველ-აღმოსავლურ მითს (ავტორს მხედველობაში აქვს გილგამეშის ეპოსი, ა. კ.) საქართველოც იცნობდა, რომ საქართველოს ისტორიის ადრინდელ ხანაში შეთვისებული ძველი აღმოსავლეთის ეს მემკვიდრეობა შემდეგ თავს იჩენს ადრინდელ შუასაუკუნეთა ხალხურ თქმულებებში... მემკვიდრეობით მიიღო იგი ფეოდალური საქართველოს პოეტმა შოთა რუსთაველმაც... მე მგონია, რომ გათხრებმა, რომელთაც ესოდენ მდიდარული შედეგები მოგვცეს, უკვე გვაჩვენეს ფესვები იმ მემკვიდრეობისა, იმ ხალხური შემოქმედებისა, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ქართველმა ხალხმა და რომელმაც ბოლოს და ბოლოს დიდად უზრუნველჰყო შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის გამოჩენა. ვფიქრობ, რომ შემდგომი გათხრები კიდევ უფრო ცხადად დაგვანახებებს, რომ შოთა რუსთაველის დიდი პოემა არ არის ნასესხები არც აღმოსავლეთიდან და არც დასავლეთიდან, არამედ, იგი ქართველი ხალხის დიდი (კულტურული) მემკვიდრეობის ხორცი ხორცი-

17 ამის საილუსტრაციოდ ბევრი მასალა დაცული ივ. ჭავჭავიძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში [25, 27, 27—28].



თავანია, როგორც ამას მქერმეტყველურად გაუსვა ხაზი პროფ. ივ. ჯავახიშვილმა“ [37, გვ. 150—157].

როგორც ვხედავთ, 1937 წლის გასულისათვის წარმატებით დაგვირგვინდა ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით თუ მისი ახლო მონაწილეობით წამოწყებული ბევრი, რესპუბლიკური თუ უწყებრივი მასშტაბის სამეცნიერო-ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიება. კერძოდ, გაიხსნა XI—XIII სს. საქართველოს მატერიალური კულტურის გამოფენა, დაარსდა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი, საქართველოს მუზეუმში ჩამოყალიბდა ისტორიის განყოფილება და სხვ. გარდა ამისა, ქართველმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავი, რომელზედაც ივ. ჯავახიშვილი ხელდამშვენებული წარსდგა მოხსენებით „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ [38]. მოხსენებაში განხილულ იქნა ილიას შეხედულებანი ქართველი ხალხის ისტორიის კარდინალურ საკითხებზე. ამავე წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი — ქართველი ერის ისტორიის შესავლის II წიგნი [39], ბევრი საგაზეთო თუ საკურნალო სტატია. მაგრამ, როგორც გამოიჩვენა, ეს არ იყო ყველაფერი. 1937 წელსვე ივ. ჯავახიშვილმა შეიმუშავა ფართო პროგრამა, ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში ჩასატარებელი პირველხარისხოვანი სამუშაოებისა, რომელთა განხორციელებაში უნდა ჩაბმულიყვნენ: „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის“ ბაზაზე ახლად დაარსებული „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ხელოვნების ისტორიის მუზეუმი — „მეტეხი“ და ყველა სამეცნიერო-კულტურული დაწესებულება, ორგანიზაცია თუ საზოგადოება, რომელსაც კი ამა თუ იმ კუთხით შეეძლო ქართველმცოდნეობისათვის სარგებლობა მოეტანა. გარდა ამისა, ივ. ჯავახიშვილს, ვითარცა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, ჯერ კიდევ წინ ედო ინტენსიური საველე არქეოლოგიური მუშაობით დატვირთული 3 წელი (1938—1940), რომელთაც ჩვენი ქვეყნის არქეოლოგიურ კვლევადიებათა მატრიანეში ჭეშმარიტად გაუხუნარი ფურცლები ჩასწერეს.

ზემო აღნიშნულ საპროგრამო წერილში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „მსოფლიო მეცნიერება უაღრესად დაინტერესებულია ქართველური და კავკასიური ენების ბუნებისა და მათი სხვა ენებთან, მათ შორის ხალღურ, ხეთურ და სუმერულთანაც ნათესაობის საკითხებით, მათი თავდაპირველი სამშობლოსა და მერმინ-



დელი გადმოსახლების ისტორიით ისევე, როგორც საკვები მცენარეებისა და შინაური ცხოველების სადაურობისა და შერჩევის, დასასრულ ლითონის კულტურის ისტორიის ამოცანებითაც... რამდენადაც, განაგრძობს იგი, ყოველი ქვეყანა ვალდებულია მსოფლიო მეცნიერების საგანძურში თავისი წვლილი შეიტანოს, ამდენად ქართული მეცნიერებაც... და ცალკეული მეცნიერებიც მოვალენი არიან ამ პრობლემების შესწავლას უდიდესი ყურადღება მიაქციონ, მით უმეტეს, რომ ეს ამასთანავე ჩვენი ხალხის წარსული კულტურის ახალს — ახალს ცოდნას შეგვძენს და ძველს გავგიღრმავებს“ [40, გვ. 1].

კულტურის ისტორიის ამოცანებს ივ. ჯავახიშვილი, მიმდინარე საუკუნის 30—40-იანი წლების ვითარების გათვალისწინებით, ოთხ მთავარ ჯგუფად ჰყოფს: ესენია: 1. „კულტურულ მცენარეთა ისტორიის საკითხები, 2. შინაურ ცხოველთა ისტორიის საკითხები, 3. ლითონისა და ნივთიერი კულტურის ისტორიის საკითხები, 4. ქართველთა და კავკასიელთა თავდაპირველი სამშობლოს, გადმოსახლების და უძველესი მსოფლმხედველობის ისტორიის საკითხების ჯგუფი“ [40, გვ. 8]. ამათგან ივ. ჯავახიშვილი გადმოგვცემს პირველი და მეორე ჯგუფის პრობლემათა ირგვლივ არსებულ იმუხამინდელ ვითარებას (საკითხების დამუშავების მოცულობის, სიღრმის, დონისა თუ თვით მომუშავეთა კადრების დასახელება-აღნიშვნით) და სახავს ამოცანებს ამ სპეციფიკურ დარგებში კვლევა-ძიების შემდგომი გაშლა-გაძლიერებისათვის. რაც შეეხება მესამე ჯგუფის საკითხებს, რომელთა მეცნიერული დამუშავება, პირველ რიგში, არქეოლოგიურ მონაპოვართა გათვალისწინების საფუძველზეა შესაძლებელი, ავტორი აღნიშნავდა შემდეგს: „გიწროდ შემოფარგლული ნივთიერი კულტურის სფეროში მთელი ჩვენი ცოდნა ლითონის, თიხისა და სხვა მასალისაგან გაკეთებული საგნების შესახებ, შესაძლებელია ითქვას, თითქმის მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილს მასალაზე დამყარებული და, ამისდამიუხედავად, კულტურის ისტორიის არა ერთი პირველხარისხოვანი საკითხია უკვე წამოყენებული. შემთხვევითობის წყალობით აქამდე განათხრებში ნაპოვნი საკვები მცენარეებისა და ცხოველების ნაშთებს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. რა თქმა უნდა, რომ ამნაირად მოპოვებულსა და ასეთ მასალაზე მსჯელობისა და ზოგადი საკითხების გადაწყვეტის დროს შეცდომების თავიდან აცილება ძნელია და მოპოვებული შედეგისა და დასკვნის ურყევ



გბსნილი ქვისსამირხები სამთავროს უბანზე. 1939 წ. ოქტომბერი



ივ. ჯავახიშვილი და ალ. კლანდაძე სამთავროს არქეოლოგიურ გათხრებზე.
1939 წ. ივლისი



ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ასპარეზ პეტიახშის (ერისთავის) სამარხის გახ-
სნაზე. 1940 წ. 26 ოქტომბერი



ივ. ჯავახიშვილი ათვალეურებს ასპარეგ პიტიაშის მახვილის ტარის ოჭროს გარსაყრავს, 1940 წ. 26 ოქტომბერი



ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, მოძღვნილი ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო, პედაგოგიურა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი. 1939 წ.

დებულებად მიჩნევაც შეუძლებელია. ამიტომ, აუცილებლად საჭიროა, რომ ამიერიითგან, არქეოლოგიური კვლევა-ძიება გარკვეული გეგმის დამიხედვით, ისტორიული სააღებ-მიცემო გზების მიმართულებათა და გზათა შესაყარების გათვალისწინებით, ყველა ძველი ისტორიული ცნობების ცოდნითა და კულტურის ისტორიის მთავარი ამოცანების გადასაჭრელად, ყველა მასალებისადმი ჯეროვანი ყურადღების მიპყრობით წარმოებდეს“ [40, გვ. 5] (ხაზი ჩვენია, ა. კ.). რაკი შემოხსენებულ პრობლემათა მეტ-ნაკლები წარმატებით გადაწყვეტა, განსაკუთრებით კი ლითონის დამუშავების შემოღებისა და მხატვრული ხელოსნობის გაჩენა-განვითარების გზების გაკვლევა, პირველ ყოვლისა, წინა აზიის ძველი ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის გამომხეურება-შესწავლით არის შესაძლებელი, ამიტომ მსოფლიო მეცნიერება, ბუნებრივია, თავის ყურადღებას მცირე აზიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის ძველი მოსახლეობისაკენ მიმართავს. სადღეისოდ, თუმცა ამ მხრივ ბევრი რამ არის გამოკვლეული, მაგრამ გაცილებით მეტი ჯერ კიდევ გამოსარკვევი და შესასწავლიაო, ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ „მსოფლიო მეცნიერებას უფლება აქვს ამ ნაკლის შევსება ჩვენ, ამ ქვეყნების მეცნიერთ მოგვთხოვოს. ცხადია, რომ ეს ჩვენი მოვალეობა უნდა პირნათლად შევასრულოთ“ [40, 3]. სწორედ, აქ უნდა გამოჩენილიყოს ის წვლილი, რაც ქართულმა მეცნიერებამ მსოფლიო მეცნიერების საგანბურში შეიტანა.

ქართველთმცოდნეობის (და კავკასიისმცოდნეობის) დაწინაურებისათვის ესოდენ ფართოდ მოფიქრებულ-მოხაზული სამეცნიერო სამუშაოთა გეგმა, როგორც აღნიშნავდა თავის წერილში გ. ლომთათიძე, „თითქმის სავსებით ემთხვევა ენიმკი-ს ხელმძღვანელობის მიერ უკვე მანამდე გადაჭრით აღებულ გეზს (ერთგვარ გამონაკლისს ქართველთა გადმოსახლების დებულება თუ წარმოადგენს. მაგრამ... ამ საკითხის გადასინჯვის საჭიროებას უკვე ივ. ჯავახიშვილიც აღიარებდა ბოლო ხანებში“ [27, გვ. 24]. ენიმკი-ს ისტორიული მრწამსი და კვლევა-ძიების ძირითადი მიმართულება მთელი სისრულით არის გადმოცემული ინსტიტუტის დირექტორის საანგარიშო მოხსენებაში: „ისტორიული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ინსტიტუტის მრავალრიცხოვანი განყოფილე-



ბების მუშაობას, ემყარებოდა თანამედროვე მეცნიერების ყველაზე შემოწმებულ დებულებებს: ძველი საქართველო უფრო ვრცელი სამყაროს ორგანული, მაგრამ თავისთავადი ნაწილია; ამ სამყაროს შეადგენს ვიწრო ასპექტში კავკასია, ფართო ასპექტში—ძველი აღმოსავლეთი, რომელთა სხვა კომპონენტებსაც საქართველო უკავშირდება მრავალსახოვანი და ნაირსახოვანი გენეტიური და ისტორიული კავშირებით“ [41, გვ. 384—385]. როგორც ზემოთ მოტანილი ვრცელი პასაჟებიდან გარკვევით ჩანდა, ივანე ჯავახიშვილის, ისევე, როგორც ენიმკის ხელმძღვანელობის მიერ ესოდენ ფართოდ მოფიქრებული პრობლემატიკის მეტ-ნაკლებად წარმატებით დაძლევის ერთ არსებით პირობათაგანს, ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესწავლა-გათვალისწინება ანუ რესპუბლიკაში საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების გაშლა-გაფართოება შეადგენდა. საამისოდ ხელსაყრელი მომენტიც მალე დადგა. ენიმკის მიერ „ქართველი ხალხის ისტორიის გმირული ხანის მასალების მოსაძიებლად მცხეთაში 1937 წ. ივლისში გაგზავნილი „არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის“ საქმიანობა, მალე, 1938 წლის შემოდგომიდან მკიდროდ გადაენასკვა სოციალისტური მშენებლობის ინტერესებს და აქედან მოკიდებული, ამჟამად უკვე „მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“ თავისი არსებობის თითქმის მთელ მანძილზე, თავისი პირდაპირი სამეცნიერო საქმიანობის გვერდიგვერდ, ამ ინტერესების დაკმაყოფილებასაც ემსახურებოდა.

უფიქრობთ, სწორედ აქ არის ადგილი, ჯეროვანი სიტყვა ითქვას (რამდენადაც ეს ჩვენგან შესაძლებელია) იმ დიდ სამუშაოთა შესახებ, რასაც ეწეოდა ივ. ჯავახიშვილი 1938—1940 წლებში, როგორც მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი და მთავარი მრჩეველი. მართლაც განუზომელია ის შრომა, რომელიც მან გასწია ხსენებული ექსპედიციის ორგანიზაციის, მისი ჯეროვნად დაკომპლექტების, საველე სამუშაოთა მოწყობა-დაგეგმვის, საამისოდ ჩამოყალიბებული მთავრობისა და ექსპერტთა კომისიების საქმიანობის, ისევე, როგორც ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიშგების, მონაპოვარი მასალების მოვლა პატრონობის, დამუშავების, ექსპოზიციისა და პროპაგანდის საქმეში.

როგორც ცნობილია, ისევ და ისევ მცხეთა—საქართველოს ძველი დედაქალაქი — სავსებით კანონზომიერად, პირველი იყო, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ბედზე დაფიქრებული ერთი მუჟა ენთუზიასტ-ინტელიგენტების სამეცნიერო ყურადღების ცენტრში მოექცა. საქართველოს სამხედრო გზატკეცილის გაფართო-

უბისას 1967 წელს აღმოჩენილი, იმპერატორ ვესპასიანესა და მის შემკვიდრეთა სახელით ამოკვეთილი წარწერიანი ქვა ახ. წ. 75 წლისა [53]; სამთავროს მრავალსართულიანი სამართვის სამარხების გამოჩენა და მათი სპორადული თხრა 1869—1882 წლებში [3; განსაკუთრებით 4]; ექვთ. თაყაიშვილისა და დ. ქუთათელაძის მიერ ბაგინეთზე ჩატარებული საცდელი თხრა 1889 წელს [54, გვ. 368—381]; არმაზში (სანგრის ხევის შესართავთან) ამჟამად მეცნიერებისათვის უკვალოდ დაკარგული განძის აღმოჩენა და შემდეგ იმავე ექვთ. თაყაიშვილის მიერ რამდენიმე ქვასამარხის გათხრა [55] და ზოგი სხვა, მეტნაკლებად წვრილმანი სამუშაოები შეადგენენ რევოლუციამდელი მცხეთის არქეოლოგიის დაფანტულ ფურცლებს. ამავე ფურცლებს უნდა დაემატოს გასაბჭოების შემდეგ მცხეთის მიდამოებში შემთხვევიდან შემთხვევამდე წარმოებული მცირე გათხრების შედეგები. მაგ., გ. ნიორაძისა კარსნისხევეში [56], მისივე ზემო ავჭალასა [58] და წიწამურში [58—59]; გ. ჩიტაიასი და ს. იორდანიშვილის წიწამურშივე 1924 წელს [60]; შემთხვევითი აღმოჩენები ზაპვის მშენებლობისას 1924—1925 წწ. [61] და სხვ.

ასე გამოდის, რომ 1937 წლამდე მეტ-ნაკლებად სისტემური ზასიათის არქეოლოგიური კვლევა-ძიება ამ მხარეში არ წარმოებულა. აღნიშნული წლიდან კი მცხეთაში მუშაობა დაიწყო ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ წარგზავნილმა „არმაზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ“. ექსპედიციის მიერ არმაზისხევის შესართავთან, მტკვრის მეორე ტერასაზე პირველსავე დღეებში მიკვლეული ქვითკირის სწორი წყობით ნაგები შენობის რაობა-დანიშნულების საკითხი თითქმის მთელი საველე სეზონის განმავლობაში სადავო, უფრო მეტიც, თხრის მონაწილეთა შორის ცხარე კამათის საგანი იყო. მაგრამ მალე ვიტრუვიუსის ტრაქტატის („ათი წიგნი ხუროთმოძღვრების შესახებ“) დეტალურად გაცნობამ, აგრეთვე ექსპედიციის მონაწილე გამოცდილი არქიტექტორის — ვლადიმერ წილოსანის ზოგმა სპეციფიკურმა დაკვირვებამ ეჭვი დაგვიბადა: აბანოს ნანგრევთან ხომ არ უნდა გვექნოდა საქმე? მაგრამ, ამ ვარაუდში დარწმუნებული არ ვიყავით და მოუთმენლად ველოდით შემოხსენებულ ინსტიტუტში მუდმივ კონსულტანტად მოწვეულ ივ. ჯავახიშვილის არმაზში მოსვლას. გათხრის სეზონი იწურებოდა და იმ წლის ნამუშევარი ჯერ კიდევ მეტ-ნაკლები სისრულით გამოიყურებოდა. ენიმკის დირექტორმა ს. ჯანაშიამ მართლაც ამოიყვანა ბ-ნი ივანე

ჩვენი გათხრების დასათვალისწინებლად. მათთან საუბარში ნაგებობის სავარაუდო დანიშნულების შესახებ არა გვითქვანს რა, მხოლოდ დოგმატურად გავაცანით გათხრების ვითარება, რასაც ისინი უჩვენოდაც კარგად ხედავდნენ. ბოლოს, ს. ჯანაშიას კითხვის საპასუხოდ ბ-ნმა ივანემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ნანგრევები საბაზანო ნაგებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული და გვიჩვენა, როდესაც ქალაქში (თბილისში) ვიჭნებოდით, მის ძველ ნაწილში, მტკვრის პირას როსტომ მეფის (1632—1658) სასახლის ნაშთები მოგვეჩვენებინა. ეს იყო უდიდესი სახლადი, რითაც ჩემი სიჩუმე თუ ერთგვარი თავშეკავება დაჯილდოვდა. სხვათა შორის, დაახლოებით იგივე გვითხრა, ოღონდ ცოტა უფრო მოგვიანებით, ცნობილმა მკვლევარმა, ისტორიკოსმა და არქეოლოგმა ლევან მუსხელიშვილმა და თანაც მიგვითხრა პანს გლიუკის ჩვენთვის უცნობ ნაშრომზე, რომელიც კონსტანტინოპოლის ძველ აბანოებს შეეხებოდა თალ-კამარის წარმოშობის პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით [63]. თუმცა, არც როსტომ მეფის ირანულ ყაიდაზე გაწყობილი აბანო ჰგავდა არმაზისას და არც პ. გლიუკის აღწერილი აბანოები იმეორებდნენ ჩვენსას, მაგრამ, როგორც ერთს, ისე მეორესა და მესამეს ერთიმეორესთან აახლოებდათ ძველ აბანოთა კონსტრუქციაში შემავალი ისეთი არსებითი ელემენტი, როგორიცაა კალორიფერი ანუ იატაკქვეშა გათბობის მეტად თავისებური სისტემა, ესოდენ ფართოდ რომ იყო გავრცელებული ძველ კულტურულ სამყაროში (პართია, საბერძნეთი, რომი). ჩვენი ეჭვი, ივ. ჯავახიშვილისა და ლ. მუსხელიშვილის ვარაუდები ამ საკითხთან დაკავშირებით, სავსებით გაამართლა შემდგომმა მუშაობამ 1938 წლის სავსელ კვლევა-ძიებათა სეზონში, როდესაც აბანო საბოლოოდ გაითხარა და ჩვენს წინ II—III საუკუნეთა სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ძველი წარმოდგა. თითქოს ამის დასტური იყო ფრანგი მკვლევარის რენე ლუის ნაშრომი ფონტენ-სალეს (იონის დეპარტამენტი) აბანოების შესახებ [64], რომელიც ფრანგულ „არქეოლოგიურ ჟურნალში“ დაიბეჭდა და ენიშნის ბიბლიოთეკამ 1938 წლის სავსელ არქეოლოგიური კამპანიის დამთავრებისას მიიღო. სწორედ ამაზე შეიძლება ითქვას, რომ სულზე მოგვისწრო.

ერთი სიტყვით, ეს იყო პირველი და მეტად არსებითი ხასიათის რჩევა-დარიგება ბ-ნი ივანე ჯავახიშვილისა, რაც მაშინ 1937 წ. არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის სახელით მომუშავე მცხე-

თის ექსპედიციისათვის, ესოდენ სასარგებლო აღმოჩნდა მუშაობის დაწყების პირველსავე სეზონში.

რასაკვირველია, ასეთი რჩევა-დარიგება კიდევ უფრო ხშირი, სისტემატური და ქმედითი ხასიათისა იყო საკუთრივ „მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის“ ფუნქციონირებისას 1938 წლის ოქტომბრიდან მოკიდებული მისი ხელმძღვანელისა და მთავარი კონსულტანტის თვით გარდაცვალების დღემდე (18.XI. 1940).

მაგრამ როდის, როგორ დაიწყო მცხეთის არქეოლოგიური ეპოპეა? მიმდინარე საუკუნის 30-იან წლებში ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი პროფ. გ. ჩუბინაშვილი ჯვრის ტიპის ჭურთმომღვრულ ძეგლებზე მუშაობდა. სწორედ იმ ხანებში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ხელოვნების საქმეთა კომიტეტის კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ (სადაც გ. ჩუბინაშვილი მთავარ კონსულტანტად მუშაობდა, ხოლო მე — არქეოლოგ ინსპექტორად) წამოიწყო ჯვრის ტაძრის სარემონტო-გასამაგრებელი სამუშაოები. ეს კი ძეგლზე წინასწარ არქეოლოგიურ-წმენდითი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვდა. ამასთან დაკავშირებით, გ. ჩუბინაშვილისგან თავისი სამეცნიერო ინტერესების შესაბამის დაწერილებით დავალება-კონსულტაციას ვღებულობ. დავალება, გიორგი ჩუბინაშვილისათვის დამხასიათებელი სიტყვადით შედგენილი, ითვალისწინებდა, თუ სად, როგორ, რა მიზანდასახულებისა და მასშტაბის წმენდითი სამუშაოები ჩაგვეტარებინა. ეს სამუშაოები მართლაც შეეასრულეთ მე და ფოტოგრაფმა ი. პახომოვმა არმაზის გათხრების სეზონის დამთავრების შემდეგ, 1938 წლის ოქტომბრის პირველ დეკადაში (გაიწმინდა ჯვრის დიდსა და მცირე ეკლესიებს შორის ამავალი ხუთსაფეხურიანი ქვის კიბე, მცირე ეკლესიის ინტერიერი, მის ქვეშ მოთავსებული კრიბტები, საძვალეები, დიდი ტაძრის საკურთხეველი და მრ. სხვ.). საყურადღებო შედეგი გამოიღო დიდი ტაძრის არაბთაგან დაწვის შემდეგ X საუკუნეში აღდგენილ-გადაკეთებული საკურთხეველის დაშლამ (რა თქმა უნდა, სათანადო ფიქსაციის შემდეგ). ჯერ ერთი, პირვანდელი სახით გამოვლინდა საკურთხეველი და წმინდა ადგილიდან წმიდათა წმიდაზე ასასვლელი წყვილი კიბე, მეორეც ისაა, რომ საკურთხეველის ამალებისას (X-საუკ.) წყობაში ჩაუშენებიათ ჯვრის საყრდენი პოსტამენტი, რომლის ერთ მხარეზე ძველ-ქართული ასომთავრული, ლაპიდარული, დასაწყისში რამდენადმე დაზიანებული და ნაკლული წარწერა აღმოჩნდა (სადაც თანამიმდევრობით მოხსენიებული არიან ჯვრის საყდრის სამთავე კტიტორ-მშენებელი:



სტეფანოზ პატრიკიოსი, დემეტრე და ადარნასე ვიპატოსები), მეორეზე კი ქართული წარწერის შინაარსის მოკლე რედაქცია სომხურად (80). რაკი ჩვენს ამოკითხვას ვერ ვენდეთ, 1938 წლის 10 ოქტომბერს აღმოჩენის ადგილზე პროფესორები ა. შანიძე და ს. ყაუხჩიშვილი ავიყვანეთ. ამ მეცნიერებმა არა მარტო ზოგი საჭოჭმანო ადგილებიც ამოკითხეს და წარწერის აზრი უფრო გასაგები გახადეს, არამედ ბ-ნმა აკაკიმ დაზიანებული და ნაკლული ნაწილიც აღადგინა და ტექსტი საბოლოოდ გამართა¹⁸.

იქიდან წამოსულებმა, წიწამურზე გამოვლით, სამთავროს მინდორს ჩამოვუარეთ, სადაც მუშები, როგორც შემდეგ გამოირკვა, საბეითლო პუნქტის შენობისათვის მოედანს ასწორებდნენ და საძირკვლის ამოსაყვან თხრილებს ავლებდნენ. სამშენებლო უბნის დათვალიერებისას გამოირკვა, რომ 15-მდე ქვითნაგები სამარხი დაენგრიათ და დამტვრეული ფილაქვები მთელ მოედანზე მიმოფანტათ. მათ შორის ერთი ებრაულწარწერიანი ეპიტაფია აღმოჩნდა [66]. მეორე, უფრო მომცრო კი (რომელიც წაფერდებულად იდგა და ჯერ კიდევ ამოგდებული არ იყო) ძველი მცხეთის არქიტექტორისა და მხატვართუხუცესის ავრელიუს აქოლისის საფლავის ზედა ქვა, აგრეთვე, ეპიტაფია გამოდგა. წარწერა ძველებრძნულით იყო შესრულებული და იგი მაშინვე, წაიკითხა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა (67; 68). ეს ამბავი, რა თქმა უნდა, თბილისში ჩავიტანეთ და 13 ოქტომბერს ენიშკის დირექტორის შუამდგომლობით კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებამ ადგილზე სამუშაოდ მიგავლინა (მე და ფოტ. ი. პახომოვი).

პირველსავე დღეებში, როდესაც დაშლილ-დაზიანებულ სამარხთა ბოლომდე გათხრას შევუდექით, ვიპოვეთ მამაკაცის ბიუსტის გამოსახულებიანი და მარგალიტის მძივსაკიდებით დამშვენებული ოქროს მედალიონი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ბეჭდები, საყურეები, მინის სანელსაცხებლვ კუჩუკლეული, ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით შემკული ქინძისთავეები, უამრავი მძივები და სხვა სამკაული.

ყველაფერი ეს, ჩვენი სამეცნიერო წრეებისათვის დაუყოვნებლივ ცნობილი გახდა. 15 ოქტომბერს, ენიშკის სამეცნიერო საბჭოს

¹⁸ ორთავე წარწერის ფოტობირი ჯერ კიდევ, 1948 წელს გამოაქვეყნა აკად. გ. ჩუბინაშვილმა ჯერის ტიპის ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში [65].



დავალბებით, სამთავროში ამოვიდნენ: ივ. ჯავახიშვილი, შ. ამირანაშვილი გ. ნიორაძე, ს. ყაუხჩიშვილი, დ. ლომაძე (კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგე) და სხვ.

ადგილობრივი პირობების შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ სამთავროს ველის ჩრდილო ნაწილში, სადაც საბეითლო პუნქტის აშენება იყო განზრახული, სხვა საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების აგებაც დაეგეგმათ. სამხრეთი ნაწილი კი ამ მინდვრისა, სამთავროს ქალთა მონასტრის გალავნიდან მოკიდებული, 600—800 კვ. მეტრიან ნაკვეთებად იყო დაყოფილი, სადაც მტკვარ-არაგვის შესაყარში (სვეტიცხოვლის ტაძრის ირგვლივ) მჯდომარე მოსახლეთათვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობა უნდა დღე-დღეზე გაჩაღებულიყო.

აქ მკითხველს უნდა შევახსენოთ, რომ სამთავროს მინდვრის გამოყენება მტკვარ-არაგვმორისი კონცხის 60-ოდე კომლის დასასახლებლად ჯერ კიდევ 1925 წელს ყოფილა გადაწყვეტილი. საქმე ის არის, რომ მტკვარზე ზაქესისათვის ჯვბირის აღმართვის შემდეგ დაგუბებულმა წყალმა მდინარეთა ნაპირები საგრძნობლად დააზიანა: გაჩნდა კოლო, მოსახლეობაში გავრცელდა მალარია, კონცხიდან მოსახლეობის გაყვანა თითქოს გარდუვალი გახდა. სამისოდ უახლოესი მიწის ფონდად სამთავროს მინდორი მიიჩნიეს. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მოწმობით, მალე ეს ამბავი საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვისაც ცნობილი გახდა. საზბის თავმჯდომარეს, პროფ. ივ. ჯავახიშვილს მცხეთაში სასწრაფოდ მიუვლინებია საზბის საბჭოს წევრი ს. ყაუხჩიშვილი. ამ უკანასკნელს დაურწმუნებია დუშეთის მაზრის ადგილობრივი მცხეთის სადაბო საბჭოს მესვეურნი თუ რაოდენ დიდი დანაკარგი იქნებოდა ქართული მეცნიერებისათვის წამოწყებული ლონისძიების განხორციელება, ე. ი. სამთავროს ველის კერძო მოსახლეთა ინდივიდუალური მშენებლობისათვის გამოყენება.

მერე ის იყო, რომ მტკვარ-არაგვი ხერთვისში გაუშვეს და მოამრავლეს ამერიკული წარმოშობის თევზი-გამბუზია, რომელმაც მუსრი გაავლო კოლოს. მალარიით დაავადებამ საგრძნობლად იკლო და სამთავროს მიწების ათვისებაც თითქოს დღის წესრიგიდან მოიხსნა.

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილის მფარველი კალთა სამთავროს ისტორიულ ძეგლს ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში გადაჰფარებია. ახლა (მხედველობაში მაქვს 1938 წელი),

როდესაც სამთავროს ბედი ისევ ბეწვს დაეკიდა, ივ. ჯავახიშვილი კვლავინდებურად თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. იგი წუხდა და სერიოზულადაც შეშფოთებული იყო, რამდენჯერმე დაკარგვას გადარჩენილი ეს ადგილი ვაი თუ, ამჯერად ხელიდან გამოგვეცალოსო. ის გეგმავდა სამთავროს ფართო გათხრებს, ეძებდა საამისოდ საჭირო კადრებს, ფულად სახსრებს, გზებსა და საშუალებებს.

იმ დღეს, მცხეთიდან თბილისში დაბრუნების წინ, ცალკე გამიძახა და მითხრა: — ვიცი, როგორ გიძნელდებათ მუშაობა, ორი კაცი აბა რას აუხვალთ ამდენ სამუშაოს. ვგრძნობ, როგორ გიჭირთ ცალკე მუშაობა ყურისგდება, ცალკე სამარხთა წმენდა, აქეთ მონაპოვრის აღრიცხვა და მოვლა-პატრონობა. და დაუმატა: თქვენი ველიდან წასვლის შემდეგ, ვინ იცის რამდენი ავისმზრახველი (დღისით რომ გითვალთვალებდათ) გამოჩნდეს და მთელი დღის ნამუშევარი წყალში ჩაგიყაროთ¹⁹. ამიტომ, ერთობ ფხიზლად ყოფნა

¹⁹ მსგავს ექსცენსებს ჩვენი მუშაობის პერიოდში, საბედნიეროდ, ადგილი არ ჰქონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზედმეტ „ცნობისმოყვარეთა“ მიერ ჩვენგან გათხრილ სამარხთა ხელშეორედ „გასინჯვის“ ორიოდ შემთხვევას.

სამაგიეროდ გვესურს მკითხველს მოვუთხოვოთ ერთი კუროთხული, მაგრამ სავალალო ამბავი. მუშაობის დაწყების პირველსავე დღეებში ფართოდ გავრცელდა ასეთ შემთხვევებში უჩვეულოდ გაზვიადებული, „დიდიძალი ოქროულის“ აღმოჩენის ამბავი, რამაც, რა თქმა უნდა, ადგილობრივი საბჭოს ყურამდევ მიალწია (იგი მაშინ დღევანდელი აფთიაქის შენობის ადგილას მდებარეობდა). ამის გამგონე, საბჭოს ერთ-ერთ ვაიმესვეურს ჩვენს სამეთვალყურეოდ ერთი თავისი კაცი დაენიშნა, რომელიც საგანგებოდ დამატიებულევით გამოგვეცხადებოდა და თან ხელეში შემოგვეყურებდა ხოლმე. პირველად ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ჩვენთან მუშაობა ეწადა, და რაკი მუშა-ხელი გვაკლდა, თვით შევთავაზეთ ეს. მაგრამ, მან არც წერაქვითა და არც ბარ-ნიჩბით მუშაობა არ ისურვა. მეც ისე ვიშუშავებ, როგორც თქვენო — გამოგვიცხადა. — „ერთი ამას დამიხედეთ — წამოიძახა ყველაზე მეტად გავულისებულმა მუშამ — ჩვენი „ნაჩაღნიკობაც“ კი არ მოინდობა“²⁰. „აბა მოუსვი აქედანო“ და სულ კინწისკერით გამოისტუმრეს ჩვენი სამუშაო უზნიდან.

ძალიან სამწუხაროდ დავვირჩა ეს ამბავი, რამდენადაც იგი მოწმობდა, რომ ჩვენი პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებში, თუმცა ერთეულების სახით, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ერივნენ ასეთი სულმოკლე, საქვეყნო დოვლათურ დახარბებული პირები, რომელთაც კეთილშობილი ლითონის ნივთების მიმართ ჩვენი დამოკიდებულება ვერაფრით აეხსნათ. ახლა, როდესაც საეღო არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ჩვენში მცხეთელი მუშების სახით ესოდენ საიმედო საყრდენი ძალა ეგულება, მსგავსი შემთხვევები მხოლოდ ღიმილს იწვევს.

გმართებთ. ამასთანავე, გამამხნევა, მალე ახალ თანამშრომლებს მოვაშველებთ და შრომაც შეგიმსუბუქდებათ.

იმავე დღეებში ენიმკის დავალებით ივ. ჯავახიშვილს მთავრობაში შეაქვს პროექტი გათხრების სახელმძღვანელოდ მთავრობის კომისიის (განათლების სახალხო კომისიის თავმჯდომარეობით) და კონსულტანტთა საბჭოს დაარსების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარეობა მთავრობამ თვით ივ. ჯავახიშვილს დააყისრა. მის გარდა საბჭოში შედიოდნენ: ს. ჯანაშია, გ. ჩუბინაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ამირანაშვილი, გ. ნიორაძე, ნ. ბერძენიშვილი და დ. ლომაძე (კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებიდან).

18 ოქტომბერს, ივ. ჯავახიშვილს გათხრების დასათვალისწინებლად და ადგილობრივი ვითარების შესასწავლად მცხეთაში ჩამოჰყავს აღნიშნული საბჭოს წევრები (მათგან არ ესწრებოდნენ, ქალაქში არ ყოფნის გამო—ს. ჯანაშია და გ. ნიორაძე), გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, ვ. მაჭავარიანი (ენიმკის სწავლული მდივანი), ლ. ქანტურაია (საქართველოს მუზეუმის დირექტორი, მთავრობის კომისიის წევრი). ამთ გარდა, გათხრები დაათვალისწინებს ენიმკის თანამშრომლებმა კახა და ნათელა ჯავახიშვილებმა და იურისტმა სოსო მრეგლიშვილმა, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო ექსპედიციას საცხოვრებლად და საშუაოდ მამისეული ბინა მცხეთაში, ანტიოქიის ეკლესიის მახლობლად. მრეგლიშვილის (ამჟამად უკვე ექსპედიციის) ბინაზე გაიმართა კონსულტანტთა საბჭოს პირველი სხდომა, რომელმაც მოისმინა ალ. ყალანდაძის ინფორმაცია გათხრების მიმდინარეობის შესახებ. სხდომამ დაადგინა, გაფართოვდეს გათხრების ფრონტი, რისთვისაც: ა) მობილიზებულ იქნეს მეტ-ნაკლებად გაწაფული მუშაკები ენიმკიდან, საქართველოს მუზეუმიდან, შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (ასპირანტები); ბ) ეთხოვოს მთავრობას ნება დართოს კულტურის ძეგლთა დამცველ განყოფილებას ამ მიზნით გაიღოს 160.000 მან. გამოთხოვილი თანხის ოდენობის საჭიროება დასაბუთდეს იმით, რომ სამთავროს ველზე 60 კომლისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთებს მოსახლეობა ელის 1939 წლის გაზაფხულისათვის და ამ დროისათვის ეს ტერიტორია არქეოლოგებს ათვისებული უნდა ჰქონდეთ.

22 ოქტომბერს ჩვენი მუშაობის დასათვალისწინებლად და ადგილობრივი პირობების გასაცნობად ივ. ჯავახიშვილი მცხეთაში აგზავნის ტოპოგრაფ ნიკო ლამბაშიძეს, საქართველოს მუზეუმის თა-

ნამშრომლებს: სტეფანე მენტეშაშვილს, დავით კაპანაძეს და მაცყვალა მრეველიშვილს; შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის თანამშრომლებს: შალვა ხიდაშელსა და ვახტანგ ჯაფარიძეს. თან აგზავნი წერილს, რომლითაც გვატყობინებს: „ჩვენი საქმე კარგად მიდის. ც. კ. პირველ მდივანს უკვე განკარგულება გაცემული აქვს, რომ მცხეთის არქ. გათხრისათვის (ექსპედიციას) ქონებრივი სახსარიცა და ყოველგვარი დახმარება, რაც კი საჭირო იქნება, აღმოეჩინოს. ხვალ სავარაუდო ხარჯთაღრიცხვას წარვადგენ და მოკლე ხანში მუშაობა მთლიანად დაიწყება. აუცილებლად საჭიროა სასწრაფოდ აგეგმილ იქმნას გასათხრელი ფართობი. ამისათვის ტოპოგრ. დამბაშიძე წამოვა. ხვალვე ჩვენი მუზეუმის მუშაკებიც მოდიან მანდ ადგილობრივი პირობების გასაგებად. გამოიჩვენა, რომ იქ, სადაც ამჟამად თქვენ მუშაობთ, არქ. გათხრების შეჩერება არ შეიძლება, რადგან, საბეითლო წერტს გარდა, სხვა რაღაც დანიშნულების შენობის აგებასაც აპირებენ. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ მომუშავეთა ორი ჯგუფი უნდა შევქმნათ, რომელთაგან ერთი იმ ადგილის არქ. კვლევა-ძიებას განაგრძნობს, სადაც ამჟამად წარმოებს. მეორე კიდევ იქ, სადაც მცხეთელებს დასასახლებელ ადგილებს აძლევენ. პირველი ჯგუფის ხელმძღვანელი თქვენ იქნებით, მეორისა კი — ივაშჩენკო. სასურველია, რომ ამოდენა მუშახელის (100—120) მანდ შოვნის საკითხი ეხლავე გამოარკვიოთ, რომ მუშაობის დაუყოვნებლივ დაწყება და შეუფერხებელი წარმოება შეგვეძლოს. თქვენი კვებისა და ბინის საკითხიც მაწუხებს და ამაზე ცნობის შეკრება და (ვითარების) გამორკვევა საჭირო. დიდი და ფრიად პასუხსაგები საქმე იწყება და უნდა ყველანი ვეცადოთ, რომ იგი ღირსეულად შევასრულოთ და პარტიის ორგანოების ნდობა გავამართლოთ“ (ხაზი ჩვენია. ა. კ.)²⁰.

ოფიციალური ბრძანებით ჩამოყალიბებული „მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“ მუშაობას შეუდგა 27 ოქტომბერს. მის შემადგენლობაში პირველ დღეებში შედიოდა 14 კაცი: ივ. ჯავახიშვილი, მ. ივაშჩენკო, ალ. კალანდაძე, სტ. მენტეშაშვილი გ. ლომთათიძე, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, ნ. კილაძე, დ. კაპანაძე, ირ. ქასაშვილი, ვ. აუმალი, ირ. ქავთარაძე, ი. პანომოვი და ნ. დამბაშიძე. 1939 წლის საველე სეზონში ექსპედიციას შეემატნენ: ს. ბარნაველი,

²⁰ ეს წერილი პირველად გამოქვეყნებული აქვს გ. ლომთათიძეს [27. გვ. 28].



ა. აფაქიძე, რ. შგელაძე, ს. ბედუქაძე, დ. ქორიძე, თ. აბრამიშვილი, ვ. გოზალიშვილი, ვ. ცისკარიშვილი, კ. კვეციანი, ნ. ვასილიყვა, ო. კიროვა, შ. ბედუქაძე. 1940 წლიდან შემოგვიერთდნენ: ს. ჯანაშია (ექსპედიციის ხელმძღვანელი, ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ), ლ. მუსხელიშვილი, გ. მჭედლიშვილი, ი. კიკვაძე, გ. ბერი-აშვილი და სხვ. ჩამოთვლილთაგან 18 თანამშრომელი უკვე აღარ არის ცოცხალთა შორის. მათგან სამნი (შ. ბედუქაძე, ვ. გოზალი-შვილი და ი. კიკვაძე) ბრძოლის ველზე დაეცნენ 1941—1945 წწ. სამამულო ომში.

მთელი ორი წლის განმავლობაში (1938 წლის შემოდგომიდან 1940 წლის შემოდგომამდე) ივ. ჯავახიშვილი ჩვეული ენერჯითა და დიდი მეცნიერული შემართებით ხელმძღვანელობდა საქსპე-დიციო სამუშაოებს. 1938 წლის 30 ოქტომბერს ექსპერტთა კომი-სიის სხდომაზე, ჯგუფების ხელმძღვანელთა ინფორმაციის მოსმე-ნის შემდეგ, მას შემოაქვს წინადადება: სამხრეთი ჯგუფის მუშა-ობა გადატანილ იქნეს ნაკვეთზე სამხედრო გზის გასწვრივ, რომე-ლიც პირველ რიგში უნდა დაასახლონ მცხეთელეებმა; გვირჩევეს, ამავე უბანზე, ნაცვლად განზრახული 5 საძიებო თბილისა, გაი-თხაროს 10-მდე თბილი — თითოეული 2 მეტრი სიგანისა; გაძარ-ცული სამარხებიც ისეთივე სიფრთხილით იქნეს გაწმენდილ-ფიქსი-რებული, როგორც კარგად დაცული; უკეთუ მომავალშიაც ისეთი სურათი გვექნება, როგორიც დღემდე იყო, ე. ი. 24-დან გაუძარც-ვავი მხოლოდ 4—5 იქნება, მაშინ, გვირჩევეს იგი, თანამშრომელთა და მუშათა მთელი შემადგენლობა გადაყვანილ იქნეს დასასახლე-ლად განკუთვნილ ნაკვეთებზე სამუშაოდ; ყოველ ჯგუფს ახლდეს თითო მხატვარ-ხუროთმოძღვარი და ფოტოგრაფი. სამარხთა უწარ-წერო ფილაქები დაეთმოს ადგილობრივ საბჭოს ახალმოსახლეთა მშენებლობის საქმეებისათვის. იმავე წლის 12 დეკემბრის სხდომა-ზე იგი გვირჩევეს: ჯგუფები გაერთიანდეს სამაროვნის ჩრდილო ნა-წილში გაშვივლებული სამარხების პრეპარაციის დასასრულებლად; სავლელ სამუშაოები გადადებულ იქნეს კინოფირზე; ჯგუფების უფროსებს იგი ავალებს აქედანვე, დროულად მოამზადონ მომავა-ლი, 1939 წლის მუშაობის ხარჯთაღრიცხვა; გააწესონ ყარაულები გათხრის უბნების დასაცავად; ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი გა-დაიტანონ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფში და სხვ. შემდგომ, ივ. ჯავახიშვილი, როგორც მთავრობის კომისიის წევრი, მიმართავს სათანადო ორგანიზაციებს, რათა ექსპედიციას გამოეყოს

საჭირო ფოტომასალები და ექსპედიციიდან იბარებს ი. პახომოვს მათ მისაღებად; ვაჭრობის სახალხო კომისარიატს თხოვს საჭირო პროდუქტების (კარაქი, შაქარი და სხვ.) ყოველთვიური ულუფა დაუწესოს ექსპედიციას, ხოლო შესაბამისმა ადგილობრივმა წერტებმა შეუფერხებლად უზრუნველყონ ამ პროდუქტების გაცემა; ჯანმრთელობის კომისარიატსა და მალარიულ დაავადებათა ინსტიტუტს მიმართავს თხოვნით, რათა სისტემატურად ჩაატარონ ექსპედიციის პირადი შემადგენლობის სამედიცინო პროფილაქტიკა და საჭიროების შემთხვევაში გასცენ ქინაქინა, თუ სხვა საჭირო მედიკამენტები; მიმართავს მცხეთის ხე-ტყის სახერხ ქარხანას, რათა საერთო საფუძველზე უზრუნველყოს ექსპედიცია სათანადო მასალებით, ამასთანავე, გაიცეს ნარჩენები ექსპედიციის ბაზისა და თანამშრომელთა ბინების გასათბობად.

ლითონის, განსაკუთრებით ბრინჯაოს ნივთების მომრავლებასთან დაკავშირებით, კავშირს ამყარებს ქიმიის ინსტიტუტთან ამ ნივთების ნორმალური და შეუფერხებელი წმენდა-დამუშავების მიზნით; თხოვს მთავრობას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ქიმიური ლაბორატორიის დაარსების შესახებ²¹.

მოუტყულობს დროს ივ. ჯავახიშვილი ექსპედიციაში გზავნიდა საკონსულტაციო საბჭოს ერთს ან რამდენსამე წევრს, რომელთა მეოხებითაც იგი ყოველთვის იყო საექსპედიციო მუშაობის კურსში.

ამავე დროს, ივ. ჯავახიშვილი ოდნავადაც არ იგიწყებს რესპუბლიკის სხვა კუთხეებში არქეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების საჭიროებას და სადაც კი ხელი მიუწვდება, ყოველ ღონეს ხმა-

21 ასეთი ლაბორატორია დაარსდა კიდეც 1939 წ. ზაფხულში და მან დიდი სამსახურიც გაუწია ჩვენს სივრცეებში დავროვილი დიდძალი და მრავალფეროვანი ლითონის (ბრინჯაო, ვერცხლი, რკინა) ნაკეთობათა მეცნიერული დამუშავების საქმეს.

სწორედ, ივ. ჯავახიშვილსა და ს. ჯანაშიას მიუძღვით დიდი ამაგი როგორც საკუთრივ ქიმიური ლაბორატორიის დაარსების, ასევე სამუზეუმო-სარესტავრაციო საქმიანობის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების საქმეში. საქართველოს მუზეუმის სარესტავრაციო ლაბორატორიაში ამ ხნიდან მოკიდებული დღემდე აღიზარდა სპეციალისტთა (ქიმიკოს-ანალიტიკოსების, ქვის, ხის და განსაკუთრებით მინის ნაწარმთა მკურნალ-რესტავრატორების) არაერთი თაობა, რომელთა მუშაობა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სპეციფიკურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, არამედ ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის სპეციალისტთაგან საერთო ყურადღებისა და ხშირად გამოცდილების გაზიარების საგანიც არის.



რობს დაწყებული მუშაობის წარმატებით დამთავრებისათვის თუ შემთხვევით მოპოვებული მასალების გადარჩენისათვის. ასე, მაგ. იგი მცხეთის ექსპედიციიდან დროებით ათავისუფლებს ანდრია აფაქიძესა და სტეფანე მენტეშაშვილს და ამით საშუალებას აძლევს რომ პირველმა — ბაკურციხეში (გურჯაანის რ-ნი), ხოლო მეორემ — ყოლოთოში (ქიზიყში) დაამთავრონ დაწყებული ობიექტების თხრა და მონაპოვარი მასალაც კამერული წესით დამუშაონ. მას დიდად ახარებს წალკა-თრიალეთის ექსპედიციის მიღწევები და ზრუნავს იქ მოპოვებული მასალების საჭირო სიღრმითა და მოცულობით დამუშავებაზე, კერძოდ, იგი დიდად ზრუნავს თრიალეთის ერთ-ერთ გორასამარხში აღმოჩენილი ხის ეტლისა თუ ურმის აღდგენა-კონსერვაციაზე. ახალციხეში ავზავნის აღ. კალანდაძეს ამ მხარეში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით აღმოჩენილი მასალების გადასარჩენად, თავმოსაყრელად და მუზეუმში გადასატანად. მასვე ავზავნის ძეგვში მიკვლეული არაბულწარწერიანი სტელის აღმოჩენის ვითარების შესასწავლად და ავალებს სპეციალისტებთან (გ. წერეთელი, ვლ. ფუთურიძე) დაკავშირებას ძეგლის შემდგომი შესწავლის უზრუნველყოფის მიზნით.

აქ აღარას ვამბობთ ივ. ჯავახიშვილის მიერ 1936—1939 წლებში დმანისში, გუდარეხში, ბოლნისსა თუ გეგუთში მიმდინარე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა ხელმძღვანელობა-წარმართვაზე, რომელიც აგრეთვე ცალკე საუბრის საგანია²².

ივ. ჯავახიშვილი გამუდმებით ზრუნავდა, აგრეთვე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული სხვადასხვა ხასიათის მასალების დამუშავებაზე. საამისოდ იგი საგანგებოდ იწვევს სათანადო დარგის სპეციალისტებს, მაგ., კრანოლოგიური მონაცემების დასამუშავებლად (გ. ჯავახიშვილი, [70]). მცხეთა-სამთავროს ნიადავების შესასწავლად (ს. ბარათაშვილი), წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ძვლოვანი ნაშთების მიხედვით მეცხვარეობის ისტორიული საკითხების გასამუშავებლად (მ. რჩეულიშვილი, [71]), შინაურ მსხვილფეხა საქონლის ისტორიის საკითხების გასათვალისწინებლად (დ. აგლაძე) და ა. შ.

ბევრი დრო ეხარჯებოდა ივ. ჯავახიშვილს, აგრეთვე, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ნაკისრი მოვალეობის შესრულებაზე, რასაც იგი განსაკუთრებული პასუხისმგებლო-

22 იგი გაშუქებული აქვს ვ. ჯაფარიძეს სპეციალურ ნარკვევში [69].



ბით ეკიდებოდა. მცხეთიდან მასთან საექსპედიციო საქმეზე ჩამოსულს სწორად მინახავს მუზეუმში, მისი მისაღები ოთახის კარებთან ატუხული მთხოვნელები. ათასგვარი ხასიათის თხოვნათა შორის, როგორც გამოირკვა, ზოგჯერ ფრიად უადგილო, უცნაური თხოვნაც გამოერეოდა. ასეთი იყო მაგ., სურვილი ერთი მოქალაქისა, რომელსაც სახლის სახურავი დაძველებოდა და წყალს ატარებდა. იგი ბ-ნ ივანეს თხოვდა, სამისოდ მცხეთაში გათხრების დროს აღმოჩენილი კრამიტების მარაგიდან გარკვეული ნაწილი მისთვის დაეთმოთ, რა თქმა უნდა, შეღავათიან ფასებში.

ჰოდა, ასეთ, უხეშად რომ ეთქვათ, გაწამაწიამი მყოფი, იგი მაინც პოულობდა დროს სპეციალურ ლიტერატურაში მოეძიებინა და საგანგებოდ აღენიშნა გვერდებისა და სურათების ჩვენებით მცხეთის არქეოლოგიური მონაპოვრის ანალოგია-პარალელები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდში [72] დაცულია მისი ჩანიშვნები (ალბათ ჩვენთვის გადმოსაცემად), სადაც მითითებულია ანალოგები მახვილისათვის, ხმლისათვის, სამხარილღიე-ყაწიმისათვის (პორტუგეა) Sarre-ს წიგნიდან ძველი ირანის ხელოვნების შესახებ [73]; ასევე, ი. ორბელისა და კ. ტრევერის წიგნიდან სასანური ლითონის ნაკეთობათა შესახებ [74]; თავსაბურავისათვის, სამკლავურისათვის, სარტყელისათვის, საიდაყვისა და ცხედრის სარეცლისათვის ამავე წიგნიდან; ყელსაბამისა და მკერდზე შესაკრავისათვის Sarre-ს იმავე ნაშრომიდან; აქვეა მოძებნილი პარალელები პიტიახშების განსასვენებელში აღმოჩენილი ვერცხლის ქურქლისათვის R. Menard-ის ნაშრომიდან და მრ. სხვ.

ივ. ჯავახიშვილს სერიოზულად აფიქრებდა რესპუბლიკაში გაშლილი არქეოლოგიური გათხრების მეოხებით დაგროვილი მასალების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და ექსპოზიციის საქმე. მისი მზერა მიპყრობილი იყო, პირველ ყოვლისა, ჩვენი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული საცავის — საქართველოს მუზეუმისაკენ. იგი, არამარტო როგორც მუზეუმის მთავარი მრჩეველი, არამედ, აგრეთვე როგორც სამშობლო ქვეყნის პატრიოტი მეცნიერი და მაღალი მოწოდების მოქალაქე, ბევრ ენერგიას ხარჯავდა მისი კედლების გაფართოებაზე, ამ კედლებში სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონის ამაღლებაზე, საამისოდ ნორმალური პირობების შექმნა-უზრუნველყოფაზე. ის და მისი თანაშრომლები კარგად გრძნობდნენ, რომ საქართველოს თით-

ქმის ყოველი კუთხიდან ნაკადივით მომდინარე კულტურის ძეგლთა საქირო ფართობით დაკმაყოფილებას მუზეუმი უკვე ვეღარ შეძლებდა. ამის გამო, იგი 1938 წლის 21 ოქტომბრიდან მოკიდებული. არაერთგზის მიმართავს ზემდგომ სადირექტივო ორგანოებს სათანადო დახმარებისათვის. თავის მიმართვებში იგი მეცნიერულად ასაბუთებს მუზეუმის საფონდო და სავამოფენო ფართობის გადიდების აუცილებლობას. მაგ., იგი უმტკიცებს პარტიისა და მთავრობის უმაღლესი ორგანოების მესვეურთ, რომ საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის, „დედამიწის ერთი უძველესი დედაქალაქთაგანის“ — მცხეთისა და აგრეთვე წალკა-თრიალეთის არქეოლოგიურ გათხრას შეუძლია უხვი ნივთიერი კულტურის ძეგლები შეგვიძინოს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ კაცობრიობის კულტურის ისტორიის ბევრი საკითხის გასაშუქებლად.

1939 წლის 1 სექტემბერს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ივ. ჯავახიშვილი წერს, რომ მისი (მთავრობის თავმჯდომარის) არაერთი დავალება მუზეუმისათვის განათლების მუშაკთა სახლისა და სავაჭრო ტექნიკუმის შენობის გადაცემის შესახებ, შესაბამისი სახალხო კომისარიატების მიერ, დღემდე შესრულებული არ არის, რომ იგი (ივ. ჯავახიშვილი) ამ ზაფხულში თბილისში სწორედ ამ მიზნით დარჩა აღნიშნულ შენობათა გადმოცემის მოლოდინში. ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა სწორედ არდადეგების განმავლობაში და მეტნაკლებად უმტკივნეულოდ. კომისრებთან ურთიერთობიდანაც არა გამოვიდა რა და ჩემი ყოველი ცდა ამით გამოდგაო. იგი წუხდა, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სამეცნიერო მიღწევათა შემაჯამებელი სესიის დრო ახლოვდებოდა და მისი მოხსენების წარდგენის ვადაც მცირდებოდა. „მოუშუადებელი მოხსენება — წერდა იგი — არც ჩვენს მეცნიერებას ეკადრება და ჩემს მოქალაქობრივ შეგნებასაც სრულიად ეწინააღმდეგება... ამ საკითხს შევალე მთელი ჩემი ძალა, ამის გამოც შემიფერხდა საქართველოს ისტორიის წერა და მაინც ჩემი ცდა ფუჭი და უნაყოფო გამოდგა“ [72, ფ. 965]²³.

მიუხედავად ასეთი ჩივილისა, ივ. ჯავახიშვილი თავისი საერთო სამეცნიერო საქმიანობისა და, კერძოდ, მცხეთის არქეოლოგიური

²³ როგორც ცნობილია, ეს საკითხი შემდგომში ნაწილობრივ მაინც გადააჭრა საქართველოს მუზეუმის სასარგებლოდ, მაგრამ მასწინ ზ-ნი ივანე ჩვენს შორის უკვე აღარ იყო.



კვლევა-ძიების საქმის შენელებას ოდნავადაც არ ფიქრობდა. სწორედ ამ ხანებს ეკუთვნის საამისოდ ფართოდ შედგენილი გეგმა, რომლის განხორციელება უნდა მცხეთის წერილობითი ისტორიის შესწავლით დაწყებულიყო. მანვე დაიწყო ეს საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ბოლომდე მიყვანა აღარ დასცალდა. რაც შეეხება საკუთრივ არქეოლოგიური წყაროების დაგროვება-დამუშავებას, ამას, ავტორის ღრმა რწმენით, ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის შესასწავლად მნიშვნელოვანი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. ამასთანავე, ეს შედეგი არსებითად საინტერესო უნდა ყოფილიყო არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყანათა ისტორიის თვალსაზრისითაც. „წარმოებული თხრა განსაკუთრებით იმითაა საინტერესო, — წერდა ივ. ჯავახიშვილი, — რომ საქართველოში პირველად ხდებოდა გეგმაში შესრული არქეოლოგიური ათვისება ერთ-ერთი უძველესი, სახელგანთქმული ქალაქისა, რომლის სახელწოდებაც ზუსტად ვიცით და რომლის სამაროვანი (საუბარი სამთავროს სამაროვანზეა, ა. კ.), თხუთმეტზედ მეტი საუკუნის ხანგრძლივობის ნივთიერი კულტურის ძეგლთა შემცველი, მთლიანად გათხრილი და შესწავლილი იქნება ...იმის სრულად გასათვალისწინებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს წამოწყებულ საქმეს არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის, არამედ მთელი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ-ისტორიული პრობლემების გადასაწყვეტად. უნდა გვანსოვდეს, რომ ქალ. მცხეთა იღო ორი უძველესი მაგისტრალური გზის (აღმოსავლეთიდან დასავლეთით და ჩრდილოეთიდან სამხრეთით მომავალთა) ჯვარედინზე და რომ სწორედ ამის გამო ბუნებრივად უნდა მოველოდეთ აქ მასალას საკაცობრიო კულტურის ისტორიის მრავალი მეცნიერული საკითხის ამოსაცნობად“ [27, გვ. 30]²⁴. ხაზი ჩვენია, ა. კ.).

24 თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი მცხეთისა და თრიალეთის არქეოლოგიურ მონაპოვარს, ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოჩნდა მისი და ლ. მუსხელიშვილის მიმოწერიდან. ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა, საქართველოს უძველესი კულტურული კერების — მცხეთისა და თრიალეთის მონაპოვრის გამოფენა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის მიეძღვნა.

1940 წლის 20 სექტემბერს, გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე, იგი თავის

მცხეთის მონაპოვრის წინასწარულად განხილვის დროს, ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანის ორმოსამარხებში აღმოჩენილ მოჭიქული თიხის ჭურჭლის ნიმუშებს და რამდენადაც იგი მოჭიქვის ხელოვნებას ეგვიპტიდან მახლობელ აღმოსავლეთში XII საუკუნეში შემოტანილად თვლის [21, გვ. 462]²⁵, ამდენად სამთავროს სამარხებულ ინვენტარში ამ კატეგორიის ნივთების გამოჩენა მას, სრულიად სამართლიანად, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან კონტაქტების მაუწყებელ მოვლენად მიაჩნია. სამთავროში მომუშავე ჯგუფების ხელმძღვანელთაგან მოწოდებული ცნობების დამუშავების საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა სამარხთა განსაკუთრებულ სიმჭიდროვეს, რის გამოც იგი ასკვნის: „თუ შემდეგში ასეთივე ვითარება გადაგვეშალა, ეს შეფარდება ცხადყოფს, რომ მცხეთა ბრინჯაო-რკინ. ხანაშიც ქალაქი უნდა ყოფილიყო, ამასთანავე, საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული. სოფელში ასეთი მრავალრიცხოვანი და მჭიდროდ განლაგებული სამარხების შემცველი მკვდრეთი შეუძლებელია“ [21, გვ. 462]. სამარხთა სიმჭიდროვის კიდევ უფრო მკაფიო სურათს იძლევა სამარხთა რაოდენობისა და გათხრილი ფართობის შეფარდება გვიანი ანტიკური ხანისათვის, რაც საშუალებას აძლევს ავტორს დაასკვნას: „ეს გარემოება ამ ხანაში მცხეთის მოსახლეობის წინა ხანასთან საგრძნობს გამრავალრიცხოვნებას, ამჟღავნებს“ [21, გვ. 465—466]. სწორედ ამის გამო აღნიშნავდა ერთგან ივ. ჯავახიშვილი, რომ სამთავროს სამაროვანი ქალაქ მცხეთის სამ კართაგან მხოლოდ ერთის, სახელდობრ, არაგვისკარის უბნის სასაფლაოს უნდა წარმოადგენდესო.

მოწაფეს სწერდა: „მომავალი წლის თებერვლისათვის წალკისა და მცხეთა-სამთავროს გამოფენის მოწყობა მოგვიხდება. და, მე ვფიქრობ, ეს სათანადო ქვეგანყოფილებად უნდა ვაქციოთ და აქ მართლაც უუმდიდრესი სამეცნიერო მასალა გადაგვეშლება, რომელსაც არამც თუ ერთი, რამდენიმე მეცნიერიც ვერ მოერება“ [25, №9, გვ. 176].

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ეს გამოფენა მართლაც გაიხსნა 1941 წლის თებერვლის გასულისათვის და დაუკავშირდა (ზემოაღნიშნულ თარიღს გარდა) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი სესიის მუშაობის დღეებს.

25 აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თიხის ჭურჭლის ზედამირის ჭიქურით დაფარვა კასიტებშიც ყოფილა გავრცელებული ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში.

მცხეთის არქეოლოგიურ მასალაში ივ. ჯავახიშვილის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შავპრიალა ზედაპირიანმა თიხის ქურჭელთა ჯგუფმა, რომელიც ძვ. წ. XIV—VI სს.-ის სამარხებში ჩნდება და თავისებური მოყვანილობისა და სპეციფიკური ნიშნების გამო ცნობილია როგორც კარაქის სადღვებელი ქურჭელი. ასეთი ქურჭლის პირდაპირი ანალოგიები ბლომად მოიპოვება ქართულ-კავკასიურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ამ გარემოებით აღტაცებული ავტორი წერს: „მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხებში თიხის სადღვებლის აღმოჩენას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიის თვალსაზრისით“. იგი აქვე ვ. ჰენის (V. Hehn) ნაშრომზე დაყრდნობით მოაგონებს მკითხველს, რომ ძველმა ბერძნებმა კარაქის არც შედღვება იცოდნენ და არც ხმარობდნენ. და რომ ჰეროდოტეს კარაქი ნანახიც არ ჰქონია. მხოლოდ გაეგონა, რომ სკვითები ცხიმს რძისაგან აკეთებდნენ ხის ღრუიან ქურჭელში, მისი რხევის საშუალებით. აქ, ჩვენთან კი, სადღვებელი ხისა კი არა, გამოიწვევარი თიხისაგან არის ნაკეთები და ძვ. წ. V ს-ზე გაცილებით ადრინდელ ხანას (XIV—VII საუკუნეებს, ა. კ.) ეკუთვნის და „მაშასადამე, ქართველებს ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაშივე სცოდნიათ კარაქის დღვება, იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოშიც ნიგეზის ზეთიც ძალზე იყო გავრცელებული და დას. საქართველოში უმთავრესად მას ხმარობდნენ“ [21, გვ. 463].

ვინც კარგად იცნობს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო შემოქმედებითი და პრაქტიკული მოღვაწეობის ბოლო, 1937—1940 წლების პერიოდს, დაგვერწმუნება, რომ მის შემოქმედებაში არქეოლოგიამ დიდი ადგილი დაიჭირა. თავისი დროის ბიუჯეტის საგრძნობ ნაწილს იგი ამასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საქმიანობას, მონაპოვარი მასალების გააზრინებას, ამ უკანასკნელთა ქართველი ხალხის უძველესი და ძველი ისტორიისათვის მნიშვნელობის წარმოჩენა-დასაბუთებას ახმარს²⁶.

26 ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ივ. ჯავახიშვილმა ახლა ასწილ მიუხლო სამაგიერო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიას სამაგისტრო დისერტაციის დაცვის დროს (პეტერბურგში 1907 წლის 13 მაისს) დაშვებული უნებლიე „დაუდევრობისათვის“. საქმე ისაა, რომ ივ. ჯავახიშვილის ოპონენტების — ნ. ი. მარისა და ვ. ვ. ბარტოლდის — საერთოდ ფრიად მაღალი შეფასების ფონზე მაინც უსიამო ნოტად გაისმა პირველი ოპონენტის ერთი შენიშვნა.

ვფიქრობთ, რომ სწორედ აღნიშნული წლებისა და ახლო-ხანების მნიშვნელოვანმა მიღწევებმა ქართულ-კავკასიური კულტურის ისტორიის ბევრ დარგში (ენათმეცნიერება, ეთნოგრაფია, არქეოლოგია) საგრძნობი გავლენა მოახდინა ივანე ჯავახიშვილის ზოგიერთ ისტორიულ შეხედულებათა ევოლუციანზე. თუმცა ჰიპოთეზს ქართველთა მცირე აზიიდან გადმოსახლების შესახებ ავტორი ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ნაშრომშიც იმეორებს²⁷.

ცნობილია, რომ ჰიპოთეზს ქართველთა თუბალ-თაბალებისა და მოსოხ-მუშკებისაგან წარმომავლობის შესახებ დიდი გასაქირი დაუდგა, „მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთი მცირე აზია გვიანხეტურ ხანაში ხეთურ-იეროგლიფური წარწერებით მოფენილი აღმოჩნდა“ და ამის კვალბაზე, ე. ფორერის წარმოდგენათა ზეგავლენით, ამ ხეთურ-იეროგლიფური წარწერების ენა თაბალების ენად, ხოლო თვით ეს უქანასკნელნი ინდო-ევროპელებად ჩათვალეს [45, გვ. 23]. რამდენადაც ეს არ ეთანხმებოდა ივ. ჯავახიშვილის კონცეფციას, მან მთელი ყურადღება მიაპყრო საქართველო-კავკასიის კულტურულ სამყაროს, რომელიც ავტორს „მომე ერებითა და ტომებით“ დასახლებულ ეთნოკულტურულ გარემოდ მიაჩნდა, და დიდძალი ენობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე დაასკვნა: „ქართველთა, სინდ-დილდვ-ლეგალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მომე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც-კი უნდა ჰქონოდათ. მესამე წიგნში, რომელიც უძველეს კულტურას ეხება, მოყვანილი მრავალი ფაქტი თა-

რომ „დისერტაციაში ერთი-სიტყუაც არ არის საშაროენათო თხრისას აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის არსებობის შესახებ. ჩემი აზრით — განაგრძობს ნ. მარი — ამ საკითხში (სახელმწიფოებრივი წყობილების წარმოშობის საკითხში, ა. კ.) გაცილებით მეტი რეალური მნიშვნელობა ასეთ არქეოლოგიურ მასალას აქვს, ვიდრე ყველა პათეტიკული ქსენოფონტებისა და პეროდოტიკების [ცნობებსო]“ [37, გვ. 122—123]. ივ. ჯავახიშვილის დისერტაციაში არქეოლოგიური მასალის გაუთვალისწინებლობა მაშინ იმით აიხსნებოდა, რომ ავტორი იმთავითვე ქართველებს დღევანდელ სამშობლოში მცირე აზიიდან გადმოსახლებულად თვლიდა და, ცხადია, მათი ნივთიერი კულტურის ნაშთები საქართველო-კავკასიის მიწა-წყალზე არ ეგულებოდა.

27 მხედველობაში გვაქვს სახელდობრ, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძირითადი ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები უძველეს ხანაში, რომლის ძირითადი დებულებანი მოხსენდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების სხდომას 1939 წლის 27 მაისს [43, 44, 227—252].

ვის დროზე, იმედია, ყველას დაარწმუნებს, რომ ჯერ საერთო და შემდეგ მონათესავე ენას გარდა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონიათ“ (ხაზი ავტორისაა, ა. კ.) [39, გვ. 622].

კავკასიელ ხალხთა კულტურულ-ისტორიული ერთიანობის ამ დებულების დადასტურება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილმა ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების რკვევისას ქართულ-ქართველური ენოვანი მონაცემები კავკასიური ენებისა და ერების ეთნოგრაფიულ და ლინგვისტურ მასალებთან მჭიდრო კავშირში განიხილა [39, XI, 75, 14]. ისევე, როგორც „ქართველური ენების გაღრმავებული შესწავლა. მათი აგებულების აღდგენა, ძირითადი ლექსიკურ ფონდის დადგენა და საფუძვლიანი ანალიზი — ივ. ჯავახიშვილის აზრით-აუცილებლობით მოითხოვს ქართველურ ენათა ფარგლებიდან გასვლას და მთის იბერიულ-კავკასიური ენების ჩვენებათა გათვალისწინებას“ [76, 23], ასევე ქართველი ერის ისტორიის ძირეული საკითხების ძიებამ მიუცილებელი გახადა კვლევის რეალური საფუძვლების გაფართოება და მისი არამართო ზოგადკავკასიურ, არამედ მსოფლიო ისტორიის სარბიელზე გატანა.

ქართველთა და კავკასიელთა წარმომავლობის საკითხში ივ. ჯავახიშვილის შეხედულებათა ევოლუციას ამ ათიოდე წლის წინ ხაზი გაუსვა აკად. გ. ჩიტაიამ [77]. იგი აღნიშნავდა, რომ ზეთების (ნესიტების), ლუვეილების, მუსკების და სხვ. (თობალების) ინდოევროპული ჩამომავლობის მიჩნევის შემდეგ, ივ. ჯავახიშვილმა საჭიროდ დაინახა ქართველთა და კავკასიელთა წარმოშობა-განვითარების მისეული სქემის გადასინჯვა. კვლევის არეში უფრო ფართოდ შემოპყავსო ჩრდილო-კავკასიური ეთნიკური ჯგუფები, რომელთა ზოგად სახელად ანტიკური მწერლებისგან ნასესხებ „საურომატებს“ დებს. ეს უკანასკნელნი, ივ. ჯავახიშვილის აზრით, არ არიან ინდოევროპელნი, არამედ ჩრდილო კავკასიური არაარიელი მოსახლეობის წინაპრებია და ქართველებთან მათ გენეტიკური კავშირები აქვთ. მეორე მხრივ, უპირისპირად და გადაუდებელია გაღრმავდეს სუმერულ-პროტოხეთურ-ქართულ-საურომატული პრობლემების რკვევა, მით უმეტეს, რომ თრიალეთის შუა ბრინჯაოს ხანის კულტურა ამჟღავნებს ქართველთა ნათესაობას სუმერულ სამყაროსთან ძვ. წ. II—I ათასწლეულებში [77, 7].

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები და მათი უძველესი კულტურა ესოდენ ორგანულად დაკავშირებულ-გადაბმული ჩანდა კავ-



კასიის მიწა-წყალთან, ივ. ჯავახიშვილი ქართველებისა და მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზებული ხალხების (პირველ რიგში პროტონეტების) კულტურულ-ისტორიულ კავშირებს არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. ვინაიდან, ამჟამად არ არის შესაძლებლობა დავეყრდნოთ პროტონეტებისა და თაბალ-მუშკების ენობრივ ძეგლებს — წერდა იგი — შეიძლება და საჭიროც არის ამ საკითხების გარკვევას შევეცადოთ საკუთარ სახელთა, სატომო სახელწოდებათა და აგრეთვე ტოპონიმების ანალიზის მეოხებით [44, გვ. 248]. მართლაც, სათანადო ოპერაციის ჩატარების შემდეგ, ავტორი ასკვნის, რომ ქართულისა და ჩრდილოკავკასიური (შარომატული) ეთნო და ტოპონიმკური სახელწოდების პროტონეტურ და პროტონალურ სათანადო სახელწოდებებთან შედარება ეჭვს არ ტოვებს, სახელდობრ თუ სად უნდა ვეძიოთ შთამომავალნი იმ პროტონეტური და მათი მონათესავე ტომებისა და ხალხებისა, რომელთაც მცირე აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მიწა-წყალზე თავიანთი ყოფნა-არსებობის წარუშლელი კვალი დატოვეს უძველეს ხანაში, და მამასადავებ, უნდა ვაღიაროთ, რომ მონათესავე ქართულ, ქართველურ და სკვითურ-შარომატულ ტომებს მხოლოდ სამხრეთიდან შეეძლოთ თავიანთ ბოლოდროინდელ სამშობლოში მოხვედრილიყვნენ. ამიტომაც, თუბალ-თაბალნი და მოსოხ-მუშკები ინდოევროპელნი ვერ იქნებოდნენო [44, გვ. 250]. მაგრამ მალე (ჩვენ ვფიქრობთ, 1939 წლის მეორე ნახევრიდან) ამ საკითხთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის შეხედულებებში შემობრუნება ხდება. სწორედ აღნიშნული წლის საველე არქეოლოგიურ სეზონში დახვებულმა მცხეთის მდიდრულმა და მრავალფეროვანმა მონაპოვარმა, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მის შეხედულებათა ევოლუციანზე. მას ხომ სწორედ 1939 წლის მუშაობის შედეგების შეჯამებისას აქვს, როგორც ზემოთ დავინახეთ, გამოთქმული ის შეხედულებები, რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიას, ყოფასა და კულტურას მჭიდროდ უკავშირებს საქართველო-კავკასიის მიწა-წყალზე ოდითგანვე აღმოცენებულსა და ჩამოყალიბებულ კულტურულ მემკვიდრეობას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ავტორის გამონათქვამები მცხეთის ქალაქობის შესახებ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში; ქართველთა დასაფლავების წეს-ჩვეულებათა შესახებ ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული ახ. წ. II საუკუნემდე; ჩვენ წინაპართა დახელოვნების შესახებ მეთუნეობასა და მეაბჯრეობაში; ქართველების მიერ ბრინჯაოს ხანიდანვე რძის, ცხიმისაგან კარაქის დამზა-



დების ცოდნის შესახებ და სხვა მრავალი²⁶. ერთი სიტყვით, ჩანდა, რომ ბ-ნი ივანე ბევრ მოვლენას ქართველ და კავკასიელ ხალხთა ისტორიული ცხოვრებიდან ახლებურად უყურებდა; იგი უთუოდ გრძნობდა, ახალი ფაქტების ზეგავლენით, საქართველოს ისტორიის ზოგი საკითხის გადასინჯვის საჭიროებას (განსაკუთრებით ქართველთა მცირე აზიიდან გადმოსახლების საკითხისა, რაც ამიერიდან თითქოს ახალი არქეოლოგიური მონაპოვრით წარმოდგენილ კულტურათა შორის გენეტიკური კავშირების ძიებით უნდა შეცვლილიყო) და სხვ., მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ მეცნიერს სიცოცხლის თურმე ძალიან ცოტა დღე დარჩენოდა, რათა კრიტიკული თვალთ გადაეხედა თავისი ძველი ნამუშავევისათვის.

ზემონათქვამიდან თითქოს აშკარა უნდა იყოს როლი და მნიშვნელობა, რაც მშობლიური მხარის არქეოლოგიას ეჭირა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში. ივ. ჯავახიშვილი არქეოლოგი არ ყოფილა, იგი არ ფლობდა მეცნიერების ამ დარგისათვის დამახასიათებელ ვიწრო სპეციალობას, მის ხერხებსა და მეთოდებს. თავიდანვე კი საქმე თითქოს ისე ეწყობოდა, რომ მისგან შეიძლებოდა არქეოლოგი დამდგარიყო (იხ. ი. ნიქარაძის მოგონება, 6, გვ. 8). ახალგაზრდობიდანვე ჩანერგილი სიყვარული ჩვენი კულტურის ძეგლებისადმი, საპროფესოროდ მომზადების პერიოდში იქცა სერიოზულ განზრახვად, ამ ძეგლთა მოპოვების მიზნით, თითონ გადაეხსნა გული მშობლიური მხარის მიწის წიაღისათვის. ასე, მაგ., კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდში დაცულია ფ. № 1131, საიდანაც ვგებულობთ, რომ ივ. ჯავახიშვილს საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიისაგან გამოუთხოვია და 1900 წლის 21 მაისს მიუღია კიდეც „ღია ფურცელი“ № 934 თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩასატარებლად 1900 წლის ზაფხულში (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, მეორე ქართველი მეცნიერი იყო, (რომელიც არქეოლოგიური თხრის ჩატარებისათვის საჭირო ნებართვით იყო აღჭურვილი). „ღია ფურცლის“ ასლზე მიწაწერია: [лист] не был использован ввиду болезни кн. И. А.

²⁶ ჩვენ აქ არას ვამბობთ ანტიკური საქართველოს ბრწყინვალე ნივთიერ კულტურაზე (ეპიგრაფიკული ძეგლები, ოქრო-ვერცხლის ნატიფი ხელობის სამკაულები, პათოსანი თვლები, ვეშმები და მცირე ხელოვნების უამრავი სხვა ძეგლი), ვინაიდან ამ დროისათვის ქართველები ივ. ჯავახიშვილს საქართველოში დიდი ხნის წინათ დაბინავებული ეგულებოდა.

Джавахова и возвращен ИАК 18/III 1901. ჩვენ არ ვიცით, ამას გარდა კიდევ რამ შეუშალა ხელი ივ. ჯავახიშვილის გამხდარიყო „წმინდა“ არქეოლოგი (ალბათ დიდმა სურვილმა, ფართო თვალსაწიერის მქონე ისტორიკოსი გამხდარიყო). საბოლოო ანგარიშით ქართულმა ისტორიოგრაფიამ, როგორც ცნობილია, ივ. ჯავახიშვილის სახით შეიძინა მრავალმხრივი მკვლევარი და მეცნიერი ისტორიკოსი, ვისთვისაც ხსენებული მეცნიერების ყოველ უბანზე მიღწეული პოზიტიური შედეგი თანაბრად სასურველი და სასიხარულო იყო. ეს კარგად გამოჩნდა მეცნიერის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, როდესაც იგი მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა.

უკანასკნელად, ივანე ჯავახიშვილი მცხეთაში იყო 1940 წლის 26 ოქტომბერს, როდესაც ექსპედიციის წევრთა და დამსწრე საზოგადოების საერთო სახეიმო განწყობილებისა და აღტაცების ვითარებაში არმაზისხევის ერისთავთა მდიდრულ სამაროვანზე გაიხსნა ასპარუგ პიტიასშისა და ამავე წრის წარმომადგენელი უცნობი მანდილოსნის სამარხები (№№ 1 და 2).

დამსწრეთა თვალწინ გადაიშალა სამეფო კარის წევრთა და უმაღლეს მოხელეთა სოციალური მდგომარეობის დამადასტურებელი ხელისუფლების ნიშნები (ინსიგნიები) და მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული სამკაული, იარაღი, ჭურჭელი და სხვ., კეთილშობილი ლითონისგან (ოქრო, ვერცხლი) ნაკეთები და ძვირფასი თევლებით მოოქვილ-დამშვენებული. მათ შორის, ოქროს ერთ-ერთი ბეჭდის თვალზე ამოკვეთილი მამაკაცის ბიუსტის ირგვლივ ადვილად იკითხებოდა წარწერა (ძველი ბერძნულით): ასპარუგ პიტიასში, რამაც გვამცნო II ს. სამეფო კარზე მოღვაწე, მანამდე უცნობი, ასპარუგ პიტიასშის (ერისთავის) ვინაობა. მყისვე დაისვა კითხვა: „ვის გაუგონია საქართველოში ამ ხანისათვის პიტიასშის სახელო (თანამდებობა)? ამის პასუხად ბ-ნმა ივანემ დაახლოებით შემდეგი თქვა: თუ ამ დროისათვის (II—III სს. ა. კ.) საქართველოში პიტიასშების არსებობა არ გავგეგონა, ახლა ხომ გავიგონეთ, და ვინ იცის, საერთოდ ამიერიდან საქართველოს ისტორიის რამდენი ფურცლის ახლებურად დაწერა მოგვიხდებაო²⁹. ამ მოწოდე-

29 ბ-ნ ივანესგან წარმოთქმული სიტყვების ასეთი რედაქციით გამოვრებაში, ვფიქრობთ, დამემოწმებიან ამ მომენტის შემსწრე ქართველ მეცნიერთაგან ამჟ-

ბას სამწუხაროდ მისმა შერყეულმა ჯანმრთელობამ მხარი ვერ აუბა და იგი საშიოდე კვირის შემდეგ, 1940 წლის 18 ნოემბერს ხელოვნების მუშაკთა სახლში საჯარო ლექციის კითხვისას გარდაიცვალა³⁰.

ასე ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე და შემოქმედი ისტორიკოსი. არა გვეგონია ჩრდილს მივაყენებდით ვისიმე სახელსა თუ ძვირფას სსოვნას, თუ ვიტყვოდით, რომ თანამემამულეთაგან იგი იყო ყველაზე ერუდირებული, ნაყოფიერი და ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული, ვინც ხელთ კალამი იბყრო თავისი სამშობლოს — საქართველოს ისტორიის შესასწავლად, მისი კულტურის ფესვების გა-

მად ჯანმრთელად და კარგად მყოფნი: ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, გ. ჩიტაია, ა. აფაქიძე, ე. მკვათარიანი.

აქვე გვესურს გავიხსენოთ ქართული არქეოლოგიისათვის ამ მართლაც ღირსსახსოვარი დღის კიდევ ერთი ამბავი.

როდესაც ასპარუჯ ერისთავის განსასვენებელში აღმოჩენილი ძვირფასი ნივთები, პაწია რკინის ცეცხლგამძლე ყუთში მოთავსებული, ბ-ნ ივანეს გადაეცემა, თითქოს მხნეობა-გამბედაობის მოსამატებლად ვუთხარი: — აბა, ბ-ნო ივანე, თქვენ იცით, როგორ მშვიდობით ჩაიტანთ თბილისში ჩვენს დღევანდელს სანაქებო მონაბოვარს მეთქი. მან მიპასუხა: „თქვენ აქ ყოჩაღად ბრძანდებოდეთ. მე კი ამას (ყუთზე მიმითითა) ცოცხალი თავით არავის დავანებებ“. ეს ისეთი მტკიცე, მამაცური ტონით იყო ნათქვამი, რომ მისი სულის ახოვნებას (რითაც იგი ყოველთვის გამოირჩეოდა) ჩემს წარმოდგენაში დაემატა აგებულებითაც ბრვეხორციელი ახოვნობა, რომლის ხვედრი ყოველთვის გამარჯვებაა. ახლა, როდესაც გონების თვალთ ვუბრუნდები იმ დღეებს, მიკვირს, რაზომ დიდი, მეგრძროლი სულით, მაღალმოქალაქობრივი შეგნებითა და ძლიერი ტემპერამენტით ყოფილა აღმურვილი ჩვენი უფროსი თანამემამულე.

30 ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალებიდან ორიოდ კვირის შემდეგ, 3 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახლდაარსებულ № 8 სეიფში, სადაც თავი მოეყარა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უნიკალურ მონაბოვარს, ქ-ნ თამარ ლომოურის, დავით კაპანაძისა და ჩემს მიერ ასპარუჯ პიტინასის ოქროს სარტყლის სწორკუთხა ბალთის ბუდიდან ამოღებული იყო წყვილბოტრტრეტინანი ძვირფასი ქვის ინტალიო, რომლის გარშემო ამოკაწრული ბერძნული წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „ძევახი, ჩემი სიცოცხლე, კარბაკი“. ამ წარწერასა და აქაური მდიდრული ინვენტარის კიდევ ოთხ ძეგლზე შეხვედრილ სახელში „ზევახოს ძევახოს“ ჩვენმა მეცნიერებმა არც თუ უსაბუთოდ „ჯავახოსი—ჯავახი“ გამოიცნეს [78, 418—424] და ჯავახიშვილების გენეალოგიის წყაროსთვალი ჩვენი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებში გადაიტანეს. დიდად დასანანია, რომ ამ დღეს ვერ შეესწრო ჯავახიშვილიანთ გვარის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.



მოსამკვლავნებლად, ქართველი ხალხის კულტურული პროფილის დასადგენად.

ამიტომ გვეჩვენებოდა, რომ 1940 წლის 21 ნოემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, ივანე ჯავახიშვილის ცხედართან წარმოთქმულ თუ წარმოუთქმელ სიტყვებში, საერთოდ კი მთელი ხალხის გულში, დიდი გლოვის ზართან ერთად უღერდა მხურვალე მოწოდება, რათა დღევანდელი ნამდვილი მეცნიერისაგან ჯეროვნად გაიზომოს და შეფასდეს განვლილი მანძილი, ხოლო მომავალი თაობა ასკეცი ენერგიით აღჭურვილი შეუდგეს ისტორიული ქეშმარიტების დადგენის რთულ გზას.

ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ И АРХЕОЛОГИЯ ГРУЗИИ

Резюме

В работе рассматривается вопрос о месте и роли археологических источников в исторической концепции выдающегося историка Грузии акад. И. А. Джавахишвили. В ней учтены доступные автору все данные из богатейшего научного наследия ученого и по возможности выявлены его заслуги в развитии археологической науки в нашей стране. В работе автор попытался показать влияние успехов данной науки на эволюцию некоторых исторических взглядов ученого.

I. A. DZAVAKHISHVILI AND GEORGIEN ARCHAEOLOGY

Summary

The paper deals with the question of the place and role of the archaeological sources in the historical conceptions of the outstanding Georgian historian Ivane Djavakhishvili. All data accessible to the author from the rich scientific inheritance of the scholar are taken into consideration and his merits in the development of archaeology in our country are revealed as much as possible the author tries to show the influence of the success of the given science on the evolution of some historical views of the scholar.

ღამოწმობული ლიტერატურა


1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1913.
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი 1908.
3. Fr. Bayern, Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien, Berlin, 1885, pl. III, Taf. VIII, XI—XIII.
4. В. Вырубов, Предметы древностей в хранилище «Общества любителей Кавказской археологии», вып. I, Тифлис, 1877, табл. I, III, V—VIII.
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მესამე შეცვებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 1928.
6. დ. გვრიტიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, თბ., 1968.
7. პრ. რატიანი, ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიისათვის, კრებ. „ქართული ისტორიოგრაფია“ თბ., 1968.
8. რ. მეტრეველი, კვალი განათლებული (ივ. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი), თბ., 1975.
9. ფრ. ენგელსი, ოქახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, ტფილისი, 1933.
10. R. Virchow, Das Gräberfeld von Koban im Lande der Osseten, Berlin, 1883.
11. R. Virchow, Ueber die kulturgeschichtliche Stellung des Kaukasus unter besonderer Berücksichtigung den ornamentierten Bronzegürtel aus Transkaukasischen Gräbern, Berlin, 1885.
12. E. Chantre, Récnerches anthropologiques dans le Caucase, t. I, 1885, T. II, 1887, Paris-Lyon.
13. J. de Morgan, Mission scientifique au Caucase, I, 1889, Paris.
14. M. Hoernes, Kultur der Urzeit, II, III, 1912.
15. G. Wilke, Archäologische Parallelen aus dem Kaukasus und den unteren Donauländern. ZfEthnol., XXXVI, Berlin, 1904.
16. O. Schröder, Sprachvergleichung und Urgeschichte. II Teil. Die Metalle, Iena, 1906.
17. Fr. Hommel, Geschichte des alten Morgenlandes, 1904.
18. Г. Филимонов, О доисторической культуре Осетии, «Известия общества любителей естествознания, антропологии и этнографии», т. XXXI, М., 1878.



19. Д. Н. Анучин, Доисторическая археология Кавказа, ЖМНП, январь, 1884.
20. А. С. Уваров, К какому заключению о бронзовом периоде приводят сведения о находках бронзовых предметов на Кавказе. «Труды V археолог. съезда», приложение, Тифлис, 1887.
21. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მეხუთე გამოცემა, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1960.
22. დ. თეშაბრამიშვილი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960.
23. «საქართველოს მუზეუმის მოამბე», ტ. VII, ტფილისი, 1931. საქართველოს მუზეუმის 1928—1930 წწ. მუშაობის ანგარიში.
24. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1948.
25. ნ. ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან, უერნ. «მნათობი» №№ 6, 7, 9; თბ., 1975.
26. ნ. ნუცუბიძე, «კულტურული გავშობი უცხოეთთან. ქართული ხელოვნების გამოფენა გერმანიაში» (გაზ. «კომუნისტი», 10/VIII, 1930).
27. გ. ლომთათიძე, ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. ისტორიის ინსტიტუტის «მიმოხილველი», ტ. II, თბ., 1951.
28. Н. Я. Марр, Средство передвижения, орудия самозащиты и производства в доистории (к увязке языковедения с историей материальной культуры). Избранные работы, т. III, М.—Л., 1934; Н. Я. Марр, Значение и роль изучения нацменьшества в краеведении, Избранные работы, т. I, Л., 1933.
29. ვ. ჯაფარიძე, რედაქტორისაგან, კრებ. «ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები», II, თბ., 1974.
30. ა. ლ. კალანდარიძე, გიორგი ლომთათიძე (ცხოვრება-მოღვაწეობის ძირითადი მომენტები), «ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები», II, თბ., 1974.
31. ივ. ჯავახიშვილი, შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა, გაზ. «კომუნისტი», № 55, 9/III—1937.
32. კრებული «შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა», თბ., 1938.
33. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, კრებულში «შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა», თბ., 1938.
34. Л. В. Мухелишвили, Раскопки в Дманиси, «Советская археология», VI, 1940.
35. Г. А. Ломтатидзе. Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии: «Советская археология», XXVII, 1957.
36. გ. ლომთათიძე, ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის, კრებ. «ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები», I, თბ., 1969.
37. С. М. Джорбенадзе, Учреждения АН СССР и Тбилисский университет, Тб., 1974.

38. ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, განს. „კომუნისტი“, № 153, 6/VIII. 1937; ენიშკის მოამბე II, თბ., 1937, გვ. 1—14 (1938 წელს ცალკე ბროშურადაც გამოიცა).
39. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.
40. ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, ენიშკის მოამბე I, ტფილისი, 1937.
41. ს. ჯანაშია, მოკლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა და მისი სამეცნიერო საბჭოს მუშაობისა 1936—1944 წწ. ენიშკის მოამბე, XIV, თბ., 1944, გვ. 375—398.
42. გ. ლომთათიძე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამიჯვროს უძველეს სამარხებში, თბ., 1974.
43. И. А. Джавахишвили, Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи, «Вестник древней истории», IV, 1939.
44. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
45. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
46. მ. აბდუშელიშვილი, ივ. ჯავახიშვილი და ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური ისტორიის საკითხები. საიუბილეო კრებული: ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1976.
47. М. Г. Абдушелишвили, К палеоантропологии Самтаврского могильника, Тб., 1954.
48. Б. А. Кувшин, К вопросу о древнейших корнях грузинской культуры на Кавказе по данным археологии, ВГМГ XII-B, Тб., 1944.
49. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები (1937—1946 წწ. განათხარის მიხედვით), მცხეთა I, თბ., 1955.
50. Г. Ф. Гобеджишвили, Археология, წიგნში: Грузинская советская историография, Тбилиси, 1964.
51. გ. ლომთათიძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ოცდაათი წლისა, „ქველს მეგობარი“, №15, თბ., 1968.
52. ა. აფაქიძე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, თბ., 1972.
53. გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1959.
54. ექვთ. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბ., 1968, გვ. 368—381.
55. Е. С. Такайшвили, Краткий отчет о раскопках, произведенных по поручению Императорской Археологической Комиссии летом 1902 г. близ ст. Мцхета ИКОИМАО, вып. I, Тифлис, 1904 г.
56. გ. ნიორაძე, კარსნისხევის სასაფლაო, საქართველოს მუზეუმის შრომები, ტ. IV, 1926.

57. გ. ნიორაძე, ზემოაფხაზის სამარე, საქართველოს მეზეუმის მოამბე, ტ. VI, 1931.
58. G. Nioradze, Die Nachbestattung im alten Georgien, AA, N. F., Bd. XXII, Hf. 1—2.
59. გ. ნიორაძე, მიცვალეზულის პერზე დამარბვა, ენიმკის მოამბე, V—VI, თბ., 1940.
60. Wesendonk O., Archäologisches aus dem Kaukasus. Archäologischer Anzeiger, IDAI 1925.
61. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941.
62. Вигрувий, Десять книг об архитектуре, т. I, М., 1936.
63. H. Glück, Die Bäder Konstantinopels (Probleme des Wölbungsbaus, Bd. I). Wien., 1921.
64. R. Louis, Les thermes gallo-romains des Fontaines—Sales a Saint-Père-Sous Vezeley (Jonne). Revue archéologique, t. XI, Paris, 1938.
65. Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари Исследование по истории Грузинского искусства, Тб., 1948.
66. გ. წერეთელი, მეხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა, ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940.
67. ს. ყაუხჩიშვილი, მეხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, სსსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, თბ., 1943, №6.
68. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951.
69. ვ. ჯაფარიძე, ივ. ჯავახიშვილი და შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგია. მასალები ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სესიისა (1976 წ. 12—20 აპრილი), რომელიც მიეძღვნა აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავს.
70. ვ. ჯავახიშვილი, ანთროპოლოგიური გამოკვლევა წიგნში: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 468—469.
71. М. Д. Рчеулишвили, К истории овцеводства в Грузии, Тб. 1953.
72. ივ. ჯავახიშვილის ფონდი (ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში) 586, გვ. 1—2.
73. P. Sarre, Die Kunst des alten Persiens. 1923.
74. И. А. Орбели, К. В. Тревер, Сасанидский металл. М.-Л., 1935.
75. არნ. ჩიქობავა, აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნას (1876—1940), „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“ II, თბ., 1975.
76. ქ. ლომთათიძე, ივ. ჯავახიშვილი და ქართული ენათმეცნიერების საკითხები, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, II, თბ., 1975.
77. გ. ჩიტაია, ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორიის პრობლემა ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში, იაიე-ს XV, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიაზე წაკითხული მოხსენების თეზისები, თბ., 1966, გვ. 67.
78. პ. ინგოროყვა, ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941.

- 
79. თ. ტაბლიაშვილი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სასულიერო უნივერსიტეტი (დოკუმენტური მასალები), „საისტორიო მუზეუმი“, 21—22, თბ., 1967.
80. И. В. Абуладзе, Замечание по поводу статьи П. М. Мурадяна: «Армянская надпись храма Джвари». Мадне, 4, 1968, გვ. 171—189.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ბერძენიშვილი
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ს. წახნაგია

ვალეცა წარმოებას 16. 11. 1976; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 2. 1977;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი №2; ნაბეჭდი თაბახი 4,25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3.08;

უე 01035; ტირაჟი 1200; შეკვეთა 3686;
ფასი 50 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380050, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Александр Несторович Каландадзе

ИВАНЭ ДЖАВАХИШВИЛИ И АРХЕОЛОГИЯ ГРУЗИИ

ფასი 50 კპ.